ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ნეკა დოროყაშვილის ადვოკატებმა ნიკა გვარამიას უჩივლეს

გვ.5



ორშაბათი, 1 ივნისი, 2020 | №118 (8382) | ფასი: 60 თეთრი

„ოცნების“ კრიზისი გარდაუვალია“

გვ.2

ხათუნა ლაგაზიძე: „ოპოზიცია უნდა გააქტიურდეს და ხელი და თავი გაანძრიოს“

გვ.3

„გახარია პრემიერობანას თამაშობს“

ლევან ხაბეიშვილი: „ხალხი შიმშილის ზღვარზეა, ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება“

„ეკლესიისთვის გადაცემული ტყე ყველაზე დაცული იქნება“

გვ.4

გიორგი გაჩეჩილაძე: „ტყე გადაეცემა იმ ეკლესიებს, რომლებიც ტყესთან ახლოსაა. თბილისში ან სხვა ქალაქში მდებარე ეკლესიას კი ტყე არ გადაეცემა“

საქართველოში მაჟორიტარულმა არჩევნებმა ვერ გაამართლა

გვ.3

მურმან დუმბაძე: „ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ ევროპული, ცივილიზებული არჩევნების ჩასატარებლად მზად არის“

შინაგან საქმეთა მინისტრმა და პრემიერ-მინისტრმა პოლიციის თანამშრომლები დააჯილდოვეს

გვ.5

აშშ-ის ელჩმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს პოლიციის დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქარი გადასცა

გვ.2

ISSN 1987-9385

4 რას უკავშირდება რუსეთის მიერ საქართველოში წამოწყებული ბორდერიზაციის ახალი ტალღა?

6 ილონ მასკის რაკეტა კოსმოსში გაუშვეს

5 რუსთავთან ბზიკის გამო მანქანა ამოტრიალდა
დედა-შვილი დაშავდა

6 რუსეთი ლიბიაში პლაცდარმს ქმნის

ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნების“ კრიზისი გარდაუვალია“

„ოპოზიცია უნდა გააქტიურდეს და ხელი და თავი გაანძრიოს“

იაგო ნაცვლიშვილი

გასცა თუ არა საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებს პასუხები პარლამენტში გამოსვლისას პრემიერმა გახარიამ და რამდენად დამაჯერებლად გამოიყურებოდა ოპოზიცია? არის თუ არა „ოცნების“ საარჩევნო შანსები დამოკიდებული ექიმთა სამეულზე? რა შანსი აქვს ოპოზიციას და იქნება თუ არა გადამწყვეტი მათ შორის არსებული კოორდინაცია? რატომ ფიქრობს, რომ „ოცნების“ გეგმა ოპოზიციის დაშლა და შემდეგ მათთან გარიგებაა? ვის ხედავს ოპოზიციაში ლიდერად, რომელსაც ხალხი გაყვება? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.

– პრემიერი ორჯერ იყო მისული პარლამენტში, ჯერ მოხსენებით, შემდეგ უკვე ინტერპელაციის წესით. გასცა მან იმ კითხვებს პასუხი, რაც არსებობს თუ თქვენ ისევ დაგრჩათ ეს კითხვები?

– კორონა ვირუსთან ბრძოლის პერიოდში მთავრობის მოქმედებებთან დაკავშირებით ჩემს პოზიციას ორ ნაწილად გავყოფდი – ვირუსთან ბრძოლის სახელისუფლებო სტრატეგია და ამ პროცესში ეკონომიკის გადარჩენის სტრატეგია. პირველ ნაწილზე კითხვები არ მაქვს. ფაქტები მეტყველებს, რომ საქართველო ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა. საკმაოდ დაბალია გავრცელების მაჩვენებელი და ლეტალობაც დაბალია.

რაც შეეხება ეკონომიკურ ნაწილს, თქვენთან ინტერვიუმდე ვკითხულობდი ნათია თურნავას აღიარებას, რომ რთული მაისი გვაქვს და კიდევ უფრო რთული წლის ბოლო გველოდებაო. რამდენიმე მიმართულებით გაგვაცნო ხელისუფლებამ თავისი ხედვები.

კარგია, რომ ტურიზმი მალე იხსნება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. რამდენადაც ვიცი, ხელისუფლება მარტო საჰაერო სივრცის გახსნაზე საუბრობს, ანუ ტურისტების ამ გზით შემოშვებაზე. გიორგი ვაშაძეს კი ჰქონდა იდეა, რომ უპირველეს ყოვლისა, სახმელეთო საზღვრები გახსნილიყო და ყველა საზღვართან ჩატარებულიყო პსრ ტესტი. უფრო მეტიც, აქედან გასვლის დროსაც ჩაეტარებინათ სტუმრისთვის იგივე ტესტი, რათა გამომგზავნ ქვეყანას მშვიდად ეგრძნო თავი და მოტივირებული ყოფილიყო, საქართველოში საკუთარი ტურისტი გამოეგზავნა. ამ ტესტების ღირებულება 10-15 დოლარს არ აცდებოდა და პოტენციური დამსვენებელი თავადაც სიამოვნებით გადაიხდიდა. ეს იქნებოდა იმის გარანტია, რომ საქართველოში შემოვიდოდა არაინფიცირებული ტურისტი.

საქართველოში ტურისტების უმრავლესობა სწორედ სახმელეთო საზღვრებიდან შემოდის. უკრაინიდანაც და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდანაც კი ბევრი ტურისტი შემოდის სახმელეთო გზით. მხოლოდ სრულყოფილი ტესტირება საზღვრებზე იხსნიდა ტურისტულ ბიზნესსაც განადგურებისგან და ქვეყანასაც კორონას მეორე ტალღის აფეთქებისგან.

ვერაფრით დავეთანხმები იმ ადამიანებს, ვინც ტურიზმის გადარჩენის წინააღმდეგია. ტურიზმის სფეროში 150.000 ადამიანია დასაქმებული და თუ ტურიზმი მოკვდა, ადამიანები დაკარგავენ სამსახურს. შეუძლებელია, მოკლე პერიოდში სხვა ბიზნესები ისე განვითარდეს, რომ ეს 150.000 ადამიანი დაასაქმოს.

– ტურიზმი ამ ეტაპზე ჩვენი ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. ამას უსვამთ ხაზს?

– დიახ, ზუსტად ამაზე ვსაუბრობ. კორონა ვირუსმა დაგვაყენა რეალობის წინაშე, რომ ეკონომიკის მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებაზე უნდა ვიფიქროთ, მაგრამ რაც არის, ამის დანგრევა არ შეიძლება. ქვეყნებმა, რომლებიც ტურიზმით ცხოვრობს, რომელიმემ ჩათვალა, რომ ტურიზმს მიწა უნდა მიაყაროს?! იქნება ეს ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი თუ სხვა.

– პირიქით, საბერძნეთი საზღვრებს ათეულობით ქვეყანასთან ხსნის.

– დიახ და, გარდა ამისა, ევროპის რამდენიმე ქვეყანაში შესული სტუმრების სუბსიდირება გაკეთდება.

ცოტა ხნის წინ ურეკიდან წავედი ბათუმში და წავედი არა შემოვლითი გზით, არამედ ქობულეთის გავლით. წინა წლების გამოცდილებით, ყველა სასტუმრო ღია უნდა იყოს და მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობდეს, ამის ნაცვლად, მთელი ქობულეთი ისე გავიარე, რომ მხოლოდ ერთგან შევნიშნე მზადების პროცესი. თუ ტურიზმმა არ იმუშავა, ეკონომიკურ კატასტროფას ვერ ავცდებით და ხელისუფლების მცდელობები, გადაარჩინოს ეკონომიკა, ფასადურ ნაბიჯებად დარჩება.

– ფასადურობის ნიშნები დაინახეთ?

– ვშიშობ, რომ ეკონომიკაში არსებული 16%-იანი ვარდნა წლის ბოლოს კიდევ უფრო არ გაღრმავდეს. მესმის, რომ არჩევნები თავისას მოითხოვს და შესაძლოა, არჩევნები რომ არ იყოს, ხელისუფლებას უფრო სწრაფი და რადიკალური ნაბიჯები გადაედგა ეკონომიკის გასახსნელად. თუმცა, საზოგადოებასაც თავისი წილი პასუხისმგებლობა მართებს: თუ ჰიგიენისა და დისტანცირების მოთხოვნილ ნორმებს არ დავიცავთ, კორონას შემობრუნებაც და ეკონომიკის ნგრევაც ჩვენს თავს დავაბრალოთ.

– ოპოზიცია რამდენად მომზადებული იყო პრემიერის პარლამენტში მისვლასთან დაკავშირებით?

– განსხვავდებოდა ოპოზიციის მზაობა პირველ და მეორე დღეს შორის. პირველ დღეს ვერანაირი საგნობრივი კამათი და საკმარისი არგუმენტები ვერ მოვისმინე ოპოზიციის მხრიდან. პირველ დღეს გახარიამ პირწმინდად მოიგო, შედეგად, „ოცნების“ ამომრჩეველმა მიიღო წარმატებული და თავდაჯერებული ლიდერი, რომელსაც დიდი ხანია ელოდა. მეორე მისვლაზე ოპოზიციას უფრო მეტი მომზადება ეტყობოდა. ეს ჩანდა თუნდაც გიგა ბოკერიას გამოსვლით.

– ბოკერიამ მოუგო გახარიას?

– მეორე დღეს ბოკერიამ ოპოზიციას ნამუსი მოწმინდა. დღეს ამომრჩეველში არის ძლიერი პოლიტიკური ფიგურების ნოსტალგია, ეს როლი, ერთი მხრივ, გახარიამ შეავსო „ოცნების“ ამომრჩევლისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ბოკერიამ მოიგო ოპოზიციური ამომრჩევლის გული.

– ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხრიდან ერთმანეთის მიმართ გვესმის უხეში ეპითეტები. კობახიძე ოპოზიციას გოიმებს ეძახის, წულუკიანი ბოკერიაზე ამბობს, ბნედა აქვსო, გუბაზ სანიკიძე „ოცნების“ დეპუტატებზე საჭურისებს ამბობს... რა პოლიტიკაა ეს?

– როცა ხელისუფლება ვერ აკეთებს პოლიტიკას, მაშინ იქავებს ენას და ამით ცდილობს ამომრჩევლის გულის მოგებას. ეკონომიკური ვარდნა, რომელიც კიდევ უფრო გაღრმავდება წლის ბოლოს, ეს ნიშნავს ერთ რამეს, რომ „ოცნებამ“ არჩევნები რომც მოიგოს, მას სირთულეები წინ ელოდება. ეს დიდწილად დამოკიდებულია ტურისტულ სეზონზე. თუ ზღვისპირეთში ერთ თვეშიც ასეთი სურათი ვნახეთ: გამოკეტილი სასტუმროები და დადუმებული ბარ-რესტორნები, საზოგადოებას შიმშილმა შეიძლება არჩევნებამდეც უწიოს.

– ამაზეა დამოკიდებული „ოცნების“ შანსი არჩევნებზე?

– უდავოდ. თუ წელს ტურისტული სეზონი ჩავარდა, ათობით ათასი ოჯახი სამსახურის გარეშე და შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდება. სამწუხაროდ, „ოცნების“ წინაშე ასეთი არჩევანია – კრიზისი დაუდგება არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ – დეკემბრიდან.

– ექიმთა სამეულის შესახებ გაჩნდა ინფორმაცია თუ ჭორი, რომ შესაძლოა ვნახოთ „ოცნების“ სიაში თუ მაჟორიტარობის კანდიდატებად. ამ საკითხს როგორ უყურებთ?

– ხელისუფლება ეცდება მათ პოლიტიკაში შემოყვანას, იმიტომ, რომ მას ჰაერივით სჭირდება არჩევნებზე ფონს გასვლა და გამყრელიძე, ცერცვაძე, იმნაძის სამეული კორონა ვირუსთან ბრძოლის მიმართულებით მიღწეული წარმატების სიმბოლოდ იქცნენ. რამდენად დათანახმდებიან, ამაზე თავად უნდა გასცენ პასუხი, თუმცა ხელისუფლებას ექნება დაჟინებითი მცდელობები ამ ადამიანების პოლიტიკაში შეყვანისა და საკუთარ სახეებად ქცევის თვალსაზრისით.

– მათი პოლიტიკაში შეყვანა „ოცნების“ შანსებს მნიშვნელოვნად გაზრდის?

– ხელისუფლების შანსები აღარ არის დამოკიდებული კოვიდთან ბრძოლის წარმატებაზე. ხელისუფლების შანსები დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის წამოეწევა ეკონომიკური კრიზისი მას: არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ. თუ ეს მას წამოეწია არჩევნებამდე, კოვიდთან ბრძოლის წარმატება მას ვერ უშველის. არ დაგვავიწყდეს ისიც, რამდენი ადამიანი ცხოვრობდა ბინების გაქირავებით, არც ის ემიგრანტები დაგვავიწყდეს, რომლებიც უცხოეთიდან ფულს ვეღარ გამოუგზავნიან აქ დარჩენილ ოჯახებს.

– ოპოზიციაში დისკუსიაა მაჟორიტარების თემაზე. „ლელოს“ პოზიციამ გააჩინა ბევრი კითხვა. კახა კოჟორიძემ „ნეტგაზეთთან“ თქვა, რომ ოლქების დიდ ნაწილში კანდიდატებს წარადგენს, თუმცა, სადაც დანარჩენი ოპოზიცია მათთვის მისაღებ კანდიდატებს წარადგენს, შეესაძლოა არ დააყენონ და ითანამშრომლონ. შანსს კი ბადრი ჯაფარიძემ თქვა, რომ 30-ვე ოლქში თავისი კანდიდატები ეყოლებათ. არის თუ არა ოპოზიციის შანსები დამოკიდებული პარტიების კოორდინაციაზე?

– პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ არ ველოდები ოპოზიციის საერთო კანდიდატებს მაჟორიტარულ ოლქებში ორი საკითხის გამო: ოლქების რაღაც ნაწილში ოპოზიციას მოუწევს ნაცმოძრაობის კანდიდატების მხარდაჭერა, ოპოზიციური პარტიების ნაწილი კი შიშობს, რომ თავისმა ამომრჩეველმა ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებად არ ჩაუთვალოს და ხმა აღარ მისცეს, შესაბამისად, ხმები არ დაკარგონ უკვე პროპორციული სიის ნაწილში. მით უმეტეს, რომ ხელისუფლების კარგად გამოცდილი რიტორიკა სწორედ ეს არის, რომ ყველა ოპოზიციური პარტია ნაციონალურ მოძრაობასთან არის შეკრული.

მეორე ფაქტორი არის ის, რომ ხელისუფლება ეცდება, „გათიშე და იბატონეს“ პრინციპი აამუშავოს და რაც შეიძლება დაქსაქსოს ოპოზიცია. ხელისუფლებას ურჩევნია, შევიდეს ბევრი ოპოზიციური პარტია, ოღონდ 2-3, მაქსიმუმ 4-5 წევრით. ეს არის მისი, მართლაც რომ ქართული ოცნება. იმიტომ, რომ მარტივად იყიდის მათ.

– გაურიგდება?

– კი, მარტივად და იაფად. ანუ მომავალი კოალიციის ფორმირება უფრო იაფი გამოუვა. შესაბამისად, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ამ დაშლის პროცესს შეუწყოს ხელი. ასევე ველოდები ახალი პარტიების ასპარეზზე გამოსვლასაც, რომლებიც ასევე დაქსაქსავენ ამ ოპოზიციურ ხმებს. ამიტომ ვფიქრობ, რომ საერთო ოპოზიციურ კანდიდატებს მომავალი არ აქვს.

– ამასთან უახლესმა ისტორიამ გვაჩვენა, რომ ოპოზიციურ პარტიებშიც არის ამბიციები და ყველა ცდილობს საკუთარი პარტიის გავლენის წინ წამოწევას. შესაძლოა, ეს ისევ გახდეს ხელის შემშლელი ფაქტორი. ხომ არ უნდა მივიდეთ იქამდე, რომ კანდიდატების შერჩევა მოხდეს პრაიმერიზის გზით?

– ეგ ყველაზე კარგი იდეა იქნებოდა და ოპოზიცია თავიდან აირიდებდა ხელისუფლების ამ ბრალდებას, რომ ყველა ნაციონალების დაკრულზე ცეკვავს. პრაიმერის იდეა ნამდვილად ძალიან კარგი იდეაა, მაგრამ ამაზე არ მიმდინარეობს საუბარი ოპოზიციაში.

საქართველოში არსებული პარტიებიდან რამდენს აქვს იმის ადამიანური რესურსი, რომ 30 მაჟორიტარულ ოლქში ცნობადი ადამიანი წარადგინოს? ერთი ხელის თითები გვეყოფა ასეთი პარტიების ჩამოსათვლელად. ხელისუფლებასაც გაუჭირდება ისეთი კანდიდატების წარდგენა, რომელთა მიმართაც საზოგადოებაში მაღალი დოზით არ არის აგრესია: მაქსიმუმ 5 ასეთი კადრი შეიძლება ჰყავდეს. პარტიების უმრავლესობა 1-2 მაჟორიტარულ ოლქსაც კი ვერ დააკომპლექტებს. ასე რომ, მგონია, რომ პოლიტიკური პარტიების ნაწილი მაჟორიტარების თემითაც კარგად ივაჭრებს.

– მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის დრო არ ექნება. რამდენად მნიშვნელოვანია მისი დისტანცირება, რათა „ოცნებამ“ მტრის ხატზე ისეთი დოზით ვეღარ ააგოს პოლიტიკა, როგორც ეს აქამდე ხდებოდა?

– ვიმეორებ, თუ არჩევნებამდე დაიწყო მასობრივი შიმშილობა და უმუშევრობა, „ოცნებას“ ვერანაირი მტრის ხატზე აგებული პოლიტიკა ვერ გადაარჩენს. ეკონომიკური კრიზისი „ოცნებისთვის“ მთიდან დაგორებული ლოდია, რომელიც ან ადრე დაეწევა, ან მოგვიანებით.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

შინაგან საქმეთა მინისტრმა, პრემიერ-მინისტრთან ერთად, პოლიციის დღესთან დაკავშირებით, დაღუპული პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკო

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან ერთად, პოლიციის დღესთან დაკავშირებით, სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელების პატივსაცემად, სამინისტროს ტერიტორიაზე მდებარე, გარდაცვლილი პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები ესწრებოდნენ. ცერემონია საპატიო ყარაულის თანხლებით გაიმართა. შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ორკესტრმა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა.

ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციელების ხსოვნას.

აშშ-ის ელჩმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს პოლიციის დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქარი გადასცა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან, კელი დეგნანთან შეხვედრა გამართა.

ელჩმა შინაგან საქმეთა მინისტრს ქართული პოლიციის დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

შეხვედრაზე ვახტანგ გომელაურმა აშშ-ის ელჩს მადლობა გადაუხადა ახალი კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაში აღმოჩენილი დახმარებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დანაყოფებისთვის პერსონალური დაცვის აღჭურვილობის გადაცემისთვის.

თავის მხრივ, კელი დეგნანმა ხაზგასმით აღნიშნა კოვიდ-19-თან ბრძოლის პროცესში ქართველი სამართალდამცველების მიერ გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მადლობა გადაუხადა ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელებული ეფექტიანი ღონისძიებებისთვის.

შეხვედრაზე მხარეებმა, ასევე, განიხილეს რუსეთის ბოლოდროინდელი განცხადებები რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრთან დაკავშირებით და უკანასკნელ პერიოდში, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ქართული სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე განახლებული უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის საკითხები.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია პრემიერობანას თამაშობს“

ლევან ხაბეიშვილი: „ხალხი შიმშილის ზღვარზეა, ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.

– ლევან, გასულ კვირას პრემიერ-მინისტრი და მინისტრთა კაბინეტი საკანონმდებლო ორგანოს სტუმრობდნენ. ოპოზიციისგან იყო მწვავე კრიტიკა, „ოცნებაში“ კი ფიქრობენ, რომ გახარიას შეუდარებელი გამოსვლა ჰქონდა. რას ფიქრობთ თქვენ?

– ეს არის ნომინალური ხალხი, რომელიც წარმოდგენილი ჰყავს ბიძინა ივანიშვილს. „ქართული ოცნება“ ასეა, ყველა ერთისათვის და ის ერთი თავისთვის. ყველა მუშაობს იმ ერთი კაცისთვის. ამ პანდემიის პირობებში მთელი დედამიწა გაჩერდა, ერთი ივანიშვილი არ გაჩერდა, არც მისი პროექტები არ გაჩერდა და მათ შორის გარემოს დაცვის სამინისტრო და ყველანი მუშაობდნენ იმისთვის, რომ ბიძინას პროექტებს ხელი არ შეშლოდა.

– გახარიას გეგმაზე რას იტყვით?

– თურმე ჯიგრულად ჯიგრულ პონტში ვიღაცამ ვიღაცას ფული მისცა და ეს თურმე კორუფცია კი არ არის, ჯიგრული ქართული პონტია. ესეც აჩვენებს მათ დამოკიდებულებასაც და მათ მდგომარეობასაც. უკვე აღიარებით ჩვენებებს იძლევიან კორუფციაზე და ეს ჯიგრული პონტი ყოფილა თურმე.

– დახმარება, სოციალური პაკეტი, ამაზე საუბარს დიდი დრო დაუთმო გახარიამ.

– ეს სოციალური პაკეტიც ხომ თვალში ნაცრის შეყრაა, მინიმუმ 2 მილიონ ადამიანს არ ეხება ეს ე.წ. სოციალური პაკეტი. ქვეყანაში პანდემია შეეხო ყველას, ესენი კი ამბობენ, ათში ერთს დავეხმარებითო. პლუს ამას 470 მილიონი უნდა დავასუბსიდიროთ სამშენებლო ბიზნესშიო. ესეც ხომ მარტივი კორუფციული გზაა?!

– რატომაა კორუფციული გზა?

– კორუფციულია. თანაც ვინც წლის ბოლომდე იყიდის ბინას, მხოლოდ მათ დავეხმარებითო.

– ვისაც უკვე ნაყიდი აქვს და დიდი ვალი აქვს, იმან რა ქნას?

– აქაც პრიორიტეტებია დასაყოფი. ვიღაცას სახლთან დაკავშირებული პრობლემა აქვს და ვიღაცას შიმშილის პრობლემა. პრიორიტეტებშიც აქვთ აღრევა. დღეს თუ ადამიანს იმის შესაძლებლობა აქვს, რომ 100 ათასი დოლარი ბინაში გადაიხადოს, იმის თავიც ექნება, რომ პროცენტიც თავად დაფაროს. ვერ გავიგე, რა ხდება, სხვა ყველა პრობლემა მოვაგვარეთ და მხოლოდ ეს ხალხი დაგვრჩა?! ნახევარი მილიონი ლარი უნდა ჩავდოთო და ამ ფულს ვინ წაიღებს?!

– ვინ?

– რა თქმა უნდა, კალაძესთან დაკავშირებული ხალხი წაიღებს, კალაძე მისცემს იმ ხალხს, ვისაც უნდა, ვისთანაც ინტერესი აქვს. პატარ-პატარა ბიზნესი მოკვდება პირდაპირი მნიშვნელობით და პატარა ბიზნესები ამ ფულს ვერ წაიღებენ.

– ანუ აქაც კორუფციული ინტერესი იკვეთება?

– რა თქმა უნდა, ასეა. დააწესეს ვადები და კალაძეს ვინც უნდა, მოახვედრებს ამ ვადებში. ყველაფერს გაუკეთებს იმ კომპანიებს, ვისთანაც არის დაახლოებული.

ასეთმა ხალხმა, პანდემიის დროსაც 2 მილიონი ლარი შესწირა „ქართულ ოცნებას“. ჯერ რა სიგიჟეა, ხალხი მშიერი ამოწყდა და ამ დროს თურმე ბიზნესმენები მილიონობით ლარებით მირბოდნენ „ქართულ ოცნებასთან“, რომ დახმარებოდნენ. თან ვის, მილიარდერის პარტიას?!

– ზუსტად იცით, რომ ასეა?

– დიახ, ფაქტებით ვიცი, რომ ასეა. ამ პანდემიის დროს შესწირეს 2 მილიონი ლარი და რა ხალხმა შესწირა?! ტენდერებში მონაწილე კომპანიებმა და სამშენებლო ბიზნესმა. ეს ის ხალხია, რომლებსაც თეთრი ფულიც მიაქვთ შემოწირულობის სახით და შავი ფულიც.

ახლა მთავრობა გამოდის და გვეუბნება, რომ ნახევარი მილიონით ისევ ამათ უნდა დავეხმაროთ. ასე „ეხმარებიან“ ერთმანეთს. ამ დროს კი უამრავი ადამიანია, რომლებსაც ლარითაც კი არ დახმარებიან. ადამიანს, რომელსაც 1.500 ლარიანი სამსახური ჰქონდა, ოჯახს ინახავდა, დღეს 200 ლარს აძლევენ და ხვალ რომ 300 ლარიანი სამსახური იშოვოს, ამ 200 ლარსაც აღარ ჩაურიცხავენ.

– ანუ, როდესაც ამბობენ, რომ 6 თვეზე გაიწერა 1.200 ლარი, თუკი სამსახურს იშოვი, დახმარება შეწყდება და გამოდის, რომ არ ეხმარებიან 1.200 ლარით?

– რა თქმა უნდა, ერთ თეთრსაც აღარ მოგცემენ. აქაც მოატყუეს ხალხი. ყველას უნდა დახმარებოდნენ. ხალხმა სამსახურები დაკარგა და ოჯახები დარჩა მშიერი. ყველაზე სასაცილო რა არის, იცით?!

– რა?

– საარსებო მინიმუმი არის 207 ლარიო და ადამიანებს ეხმარებიან 200 ლარით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მთელი ამ პანდემიის დროს რა ვნახეთ? 31 ათას ლარიანი ნაგვის ურნის გახსნა, მილიონ 600 ათას ლარიანი გორგოლაჭებიანი სკამები წულუკიანისთვის, 2 მილიონი ლარის რემონტი შს სამინისტროში, გომელაურის კაბინეტისთვის, ნახევარი მილიონი ლარის მაჯის საათები – ღარიბაშვილისთვის...

უკაცრავად და ამ დროს ეს ხალხი გამოდის და სახლობანას თამაშობს. პრემიერმინისტრობანას თამაშობს გახარია, თორემ რანაირი პრემიერ-მინისტრია.

– პანდემიამ უშველა „ქართულ ოცნებას“, მისმა რეიტინგმა მოიმატა და არჩევნებსაც მოიგებს. ამაზე რას იტყვით?

– მე ეს შეფასება, სხვათა შორის, ოპოზიციურ ფლანგზეც მომისმენია და შიდა საუბრებშიც ყოფილა ამაზე ლაპარაკი. მე ყველას საჯაროდ მინდა ვუპასუხო. ამას ფიქრობს ის 15-20%, რომელიც „სვეცკად“ ზის სახლში, არც კაპუჩინო მოკლებია, არც ამერიკანო და პირდაპირი მნიშვნელობით არაკუნებს ლეპტობზე, რომ „აუუ, რა მაგარი კრიზისმენეჯერია გახარია“. ასეთი მაქსიმუმ 15%-ია, ხოლო დანარჩენი 85% არის შიმშილის ზღვარზე. ნებისმიერ ქალაქსა და სოფელში წავიდეთ და დაველაპარაკოთ თუნდაც 10 ადამიანს, ვნახოთ, რას იტყვის ეს ხალხი, რა მდგომარეობაშია. სულელები ხომ არა ვართ?! ხალხი შიმშილის ზღვარზეა!



– რას ელოდებით საარჩევნოდ, შეეცდება „ოცნება“ გაყალბებას?

– არა მგონია, რომ გაყალბება შეძლოს, ამის არანაირი რესურსი აღარ აქვს. აღარანაირი მხარდაჭერა ევროპისა და ამერიკისგან. შიგნითაც არანაირი მხარდაჭერა აღარ აქვთ. მათი თანაგუნდელებიც კარგად ხვდებიან, რომ გემი იძირება.

დღეს გარდამავალ პერიოდში ვართ, ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება და პასუხისგებაში მიეცემა ყველა, ვინც ხალხის ნების საწინააღმდეგოდ წავა. ამიტომ პირადად მე არანაირი მოლოდინი გაყალბების არ მაქვს. მათ ამის თავიც აღარ აქვთ. არც არავინ მისცემს ამის შესაძლებლობას.

საქართველოში მაჟორიტარულმა არჩევნებმა ვერ გაამართლა

მურმან დუმბაძე: „ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ ევროპული, ცივილიზებული არჩევნების ჩასატარებლად მზად არის“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, ხომ არ ფიქრობთ, რომ საარჩევნოდ ხელისუფლება პოზიციებს იმყარებს? თითქოს ამომრჩეველს ერთგვარად განაწყობს, რომ ის იგებს ამ არჩევნებს? ის მიდის პარლამენტში, პასუხობს ოპოზიციას, ამას ერთვის „გორბის“ სოციოლოგიური კვლევები, სადაც მმართველ პარტიას მაღალი რეიტინგი აქვს და ა.შ.

– აშკარაა, რომ ხელისუფლებამ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. დაიწყო პანდემიას ამოფარებულმა და ცდილობს სწორედ ამ ფონზე ჩაატაროს არჩევნები, მაგრამ არ გამოუვა. „გორბის“ კვლევები არის ამ ყველაფერში მთავარი იარაღი, მაგრამ ადამიანებისთვის ეს არ არის უცხო, ხალხს კარგად ახსოვს, ეს მექანიზმები რისთვის გამოიყენება. რა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ არ ჩატარდა იგივე სოციოლოგიური კვლევები, რომელიც „ტოჩნი ზურაბამ“ დადო. ხალხმა სიყვარულით შეარქვა კვლევის ავტორს, მაგრამ ხომ სულ სხვა რეალობა დადო პირველმა ტურმა და ბიძინა ივანიშვილმაც ხომ გვითხრა, სულ სხვა მონაცემები მითხრესო. ეს ხომ არ დავიწყნია ხალხს?! ყველას ყველაფერი კარგად ახსოვს. ახლა იქნება „ტოჩნი გორბი“.



– ოპოზიციას ხომ არ აქვს რაიმე სახის შიდა კვლევები?

– შიდა და გარე კვლევებიც არის არჩევნები. როგორც გახარიამ გვითხრა, შემოდგომაზე დავითვლით წიწილებს, როდესაც გახარია და მისი მთავრობა ოპოზიციაში გადასასვლელად მოემზადება. სოციოლოგიური კვლევები და მისი შედეგების ქაღალდზე გადატანა არის ერთი მხარე, მეორე კი არის არჩევნები და საარჩევნო ურნასთან დარჩენილი ამ ქვეყნის მოქალაქე. მოქალაქე ხედავს, რომ ქვეყანა უკან მიდის, ქვეყანა კი არ ვითარდება, მისი ცხოვრება კი არ უმჯობესდება, პირიქით, უარესდება. სამუშაო ადგილი დაკარგა, ხელფასი აღარ აქვს. სახლში მაცივარი ცარიელი აქვს. ამას უყურებს მოქალაქე და არა იმას, რა ტყუილს ეტყვის მას მთავრობა.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიციას გაუჭირდება ამ არჩევნებზე გარდატეხის შეტანა?

– არა, არავითარ შემთხვევაში.

– ხედავს კი ამომრჩეველი რეალურ ალტერნატივას?

– რასაკვირველია, ხედავს. დაკვეთა არის ოპოზიციის ერთობაზე და ეს ერთობა არსებობს. ჩვენ შევასრულეთ ამ ქვეყნის მოქალაქეების დაკვეთა. ჩვენ ვეუბნებით ამომრჩეველს, რომ სულ სხვა სასამართლო იქნება. რომ სულ სხვა რეფორმები ჩატრდება. სულ სხვა პროკურატურა იქნება. ამას კი არ ვეუბნებით მხოლოდ, რეალურ ნაბიჯებს ვდგამთ, რომ ეს ყველაფერი გავაკეთოთ.

– მაჟორიტარებზე შეთანხმება მართლაც მიღწევადია, თუ უკვე გამოიკვეთა განსხვავებული პოზიციები?

– არა, რეალურია და საერთო კანდიდატების შესათანხმებლად ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ. ეს მოხდება კონსენსუსის საფუძველზე. თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ ვიცით, რა სახის საარჩევნო სისტემა გვექნება.

– კობახიძემ ეს ოპოზიციაზეა, კონკრეტულად ორ პარტიაზე თქვა, „ნაციონალებზე“ და „ევროპულ საქართველოზე“ დამოკიდებული, რომლებსაც შეიძლება არც კი აწყობთ პროპორციული სისტემა.

– თუ ასეა, მაშინ ეს ოპოზიცია რატომ იბრძოდა ამ სისტემის მოსაპოვებლად? ეს კითხვა მაქვს ირაკლი კობახიძესთან. 30 წელია მოქმედი საარჩევნო სისტემა არსებობს. ამ სისტემამ უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები, ახლა ყველა ოპოზიციურ ძალას უნდა პროპორციული საარჩევნო სისტემა, მაგრამ ეს არ უნდა „ქართულ ოცნებას“. ეს არის რეალობა. ჩვენ მომხრე ვართ საქართველოში დღეის იქით მხოლოდ და მხოლოდ პროპორციული არჩევნები ჩატარდეს ყოველგვარი მაჟორიტარების გარეშე. საქართველოში მაჟორიტარულმა არჩევნებმა ვერ გაამართლა.

8 მარტის ხელშეკრულება ბოლომდე შეასრულოს ხელისუფლებამ და მოხდება ეს საკონსტიტუციო ცვლილებები. არჩევნებიც ჩატარდება შეთანხმების საფუძველზე და ეს იქნება ხელისუფლების მხრიდანაც გზავნილი დანარჩენი თანამეგობრობისთვის, ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის, რომ ხელისუფლება ცივილიზებულად იქცევა, შეთანხმებას ასრულებს, რომ „გადაგდებაზე“ უარს ამბობს. დაამტკიცონ, რომ ევროპული, ცივილიზებული არჩევნების ჩასატარებლად ხელისუფლება მზად არის.

ხათუნა ლაგაზიძე: „ოცნების“ კრიზისი გარდაუვალია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

სააკაშვილს ჰქონდა საინტერესო პრეზენტაცია უკრაინაში, რომელზეც ჩინეთიდან წამოსული კომპანიების უკრაინაში შეყვანის ხედვა წარადგინა. სცალია თუ არა მას საქართველოსთვის, ის ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოს არჩევნებამდე უკრაინაში შეიყვანოს 1-2 უმსხვილესი კორპორაცია მაინც და ამით ქართველ ამომრჩეველს დაანახოს, რომ ის, რაც ვერ შეძლო საქართველოს ხელისუფლებამ, ის შეძლო მიხეილ სააკაშვილმა, ოღონდ უკრაინაში.

– ანუ ეცდება, ქართველი ამომრჩევლის მისამართით კონკრეტული გზავნილი გააკეთოს?

– დიახ, საქმიანი გზავნილი და არა – სიტყვიერი. ჩინეთიდან მხოლოდ ერთი კომპანიის გასვლით დაიკარგა 60.000 სამუშაო ადგილი, რა მასშტაბებზეა საუბარი, ხომ წარმოგიდგენიათ?! საქართველოში ტურიზმის მთელ ინდუსტრიაში 150.000 ადამიანია დასაქმებული და იქ ერთ კომპანიას ჰყავდა 60.000 ადამიანი დასაქმებული.

ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თავად ოპოზიციის ტაქტიკა. ოპოზიციამ პოზიციები დათმო კორონას შემოტევის დროს და ეს ლოგიკურიც იყო. იმიტომ, რომ საქმე ეხებოდა ადამიანების ჯანმრთელობას და ამ დროს პარტიული კუთვნილება არავის ახსოვს. მაგრამ თუ ოპოზიციამ ვერ შეძლო დარჩენილი ხუთი თვის ეფექტიანად გამოყენება, მარტო კლდიდან დაგორებული ეკონომიკური ლოდის იმედად ყოფნა მას ვერ ახეირებს: „ოცნებამ“ რომც ვერ მიიღოს სასურველი რაოდენობით ხმები, დაქსაქსული ოპოზიციით გავა ფონს. ოპოზიცია უნდა გააქტიურდეს და ხელი და თავი გაანძრიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ „ოცნება“ იგებს არჩევნებს. თუმცა, თუ არჩევნების შემდგომ ეკონომიკური კრიზისი ძალიან გამწვავდა, მალევე ვადამდელ არჩევნებს მივიღებთ.

დღეს ამომრჩეველს სჭირდება პოლიტიკური ძალა, რომელიც საკუთარი თავის რწმენას დაუბრუნებს. ხალხს სჭირდება ისეთი ლიდერი, რომელიც, საზოგადოებრივ ენერგიას შეკრებს და ამ ენერგიის ქარიშხალს დაატრიალებს დარჩენილ 5 თვეში.

– ვის ხედავთ ასეთ ლიდერად ოპოზიციაში?

– სამწუხაროდ, ისეთი ლიდერების დეფიციტი, რომლებიც დროს უსწრებენ, მარტო ჩვენთან კი არა, მთელ მსოფლიოშია, თუმცა, ჩემი აზრით, მაგალითად, გიორგი ვაშაძეს დროის მოთხოვნებთან ყველაზე შესაბამისი ხედვები აქვს. ჯერ კიდევ თბილისის მერის არჩევნების დროს ოპოზიციურ კანდიდატთა შორის მისი მიდგომები ინოვაციურობით გამოირჩეოდა და ქალაქის განვითარების ტექნოლოგიურ ინოვაციებზე დაფუძნებული ხედვები დადო.

– ქარიზმაც აქვს?

– მაგ მიმართულებით მიმყავს საუბარი. რამდენად შეძლებს გიორგი ვაშაძე, რომ ხალხს დაანახოს ახალი, მაღალტექნოლოგიური საქართველოს იდეა და თანაც საქართველოს თითოეულ მოქალაქეს მისი ადგილი დაანახოს ამ თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, ადამიანებს სოციალური ფუნქცია დაუბრუნოს და თვითშეფასება აუმაღლოს – ამაზე იქნება მისი წარმატება დამოკიდებული.

ამას სჭირდება ძალიან დიდი ენერგეტიკა და წარმოუდგენელი მასშტაბის საარჩევნო კამპანია. რამდენად აწევს ის ამას, ამაზე პასუხს უახლოეს თვეებში მივიღებთ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ეკლესიისთვის გადაცემული ტყე ყველაზე დაცული იქნება“

გიორგი გაჩეჩილაძე: „ტყე გადაეცემა იმ ეკლესიებს, რომლებიც ტყესთან ახლოსაა. თბილისში ან სხვა ქალაქში მდებარე ეკლესიას კი ტყე არ გადაეცემა“

გულიკო ბალაძე

რას ითვალისწინებს ტყის დაცვის ახალი კოდექსი? რა მიზნით გადაეცემა ეკლესიებს ტყეები? რა მდგომარეობაშია ნაციონალების დროს უცხოელი ბიზნესმენებისთვის 20 წლით სარგებლობაში გადაცემული ტყეები და რა ელოდებათ მათ ახალი ტყის კოდექსის მიღების შემდეგ? „ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის წევრი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.

– პატონო გიორგი, ეკლესიისთვის ტყეების გადაცემის საკითხი ახლა რატომ დადგა? მოგეხსენებათ, ამ საკითხს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს.

– ეკლესიისთვის ტყეების გადაცემის კანონი 1999 წლიდან მოქმედებს. აჟიოტაჟი ხელოვნურადაა შექმნილი. 1999 წლის ტყის კოდექსში პირდაპირ წერია, რომ საპატრიარქოს ტყე შეიძლება სარგებლობაში გადაეცეს.

– მას შემდეგ წლები გავიდა. საკაკაშვილის დროს ტყეების გადაცემა არ მომხდარა. ახლა რატომ დაიწყო ამ საკითხის განხილვა?

– ახალი ტყის კოდექსი გაკეთდა და 1999 წლის ნორმა გადმოვიდა. საქართველოს კონსტიტუციამ განსაზღვრა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში, მგონი, ეს სადავო არ არის.

მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა მივიღეთ ქრისტიანობა, რომელმაც უზარმაზარი როლი ითამაშა საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენაში. ამიტომ 1995 წელს, როდესაც 1921 წლის შემდეგ პირველ კონსტიტუციას ვღებულობდით, ეს მუხლი ჩაიწერა და განისაზღვრა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის როლი სახელმწიფოში. კონსტიტუციის მე-8 მუხლში ჩაიწერა, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა კონსტიტუციური შეთანხმებით განისაზღვრება.

კონსტიტუციური შეთანხმება, კონსტიტუციის შემდეგ, რანგით მეორეა. შემდეგაა კანონები და საერთაშორისო შეთანხმებები. 2002 წელს დადებულმა კონსტიტუციურმა შეთანხმებამ განსაზღვრა ყველა ნორმა. მათ შორის ის, რომ ეკლესიას შეიძლება ჰქონდეს ქონება.

კონსტიტუციამ მისცა უფლება ეკლესიას, კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე ჰქონოდა ყველანაირი სახის ქონება, რომელიც კანონით არ არის აკრძალული. მით უფრო, 1999 წლის ტყის კოდექსში უკვე ეწერა, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს ტყე. ყველაფერი მოვიდა ერთ სისტემაში.

– ახლა ეკლესიამ გაიხსენა ეს და მოითხოვა მათ საკუთრებაში ტყეების გადაცემა, თუ რატომ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში?

– არა. ახლა რეფორმა თავიდან დაიწყო და ამიტომ. 1999 წლის ტყის კოდექსი ჩვენი გაკეთებულია. მაშინ კომიტეტის თავმჯდომარეც და მოადგილეც მწვანეთა პარტიის წარმომადგენელები იყვნენ.

– როგორც მახსოვს, ამ კოდექსში ნაცმოძრაობამ ბევრი რამ შეცვალა.

– ნაციონალებმა გარემოზე ზედამხედველობა, საერთოდ, გაანულეს და ყველაფერი აურიეს. ახლა, ძალიან კარგი ტყის ახალი რეფორმა ტარდება. ეს საზოგადოებამ არ იცის. საზოგადოებას ერთი კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზით ატყუეენ.

ამ რეფორმით ტყეში ყველაფერს სახელმწიფო აკეთებს. კერძო და იურიდიული პირები ტყეში ვეღარ შევლენ ხე-ტყის დასამზადებლად, რაც ძალიან სერიოზული პრობლემა იყო. სამეურნეო საქმიანობა, სამასალე ხეების, საშეშე მასალის დამზადებას და ყველაფერს სახელმწიფო უზრუნველყოფს.

– სოფლის მცხოვრებს შეშის გამოტანა თუ შეეძლება?

– სხვადასხვა ადგილებში იქმნება ე.წ. საქმიანი ეზოები, სადაც დამზადებული ხე-ტყე, შეშა და მასალები დასაწყობდება. სოციალურად დაუცველ ადამიანებს შეშა უფასოდ გადაეცემათ. ბარათს რომ ყიდულობდა და ტყის სარგებლობის საფასურს იხდიდა, უფრო ძვირი უჯდებოდა. თვითონ ვერ შედიოდა ტყეში შეშის დასამზადებლად, ვიღაცას ქირაობდა, მთელი ბრიგადები იყო ამისთვის ფარულად შექმნილი. ისინი ამუშავებდნენ და გლეხებზე ყიდდნენ.

ტყის დაცვის ახალი კოდექსის ფარგლებში ხდება ეკლესიისთვის ტყის გადაცემა. ეკლესიისთვის გადაცემული ტყეები ყველაზე დაცული იქნება.

– ტყის დაცვის მიზნით კეთდება?

– დიახ, ეკლესიისთვის გადაცემული ტყე ყველაზე დაცული იქნება. ცხადია, ტყის შენახვისა და დაცვის მიზნით კეთდება. მათ ტყის ჭრის უფლება არ ექნებათ. აქედან გამომდინარე, მისთვის ტვირთია და არა საჩუქარი. ეკლესიამ ტყე უნდა დაიცვას. ეკლესიას აქამდეც ჰქონდა გადაცემული ტყე, ოღონდ მიჩენის წესი ერქვა. ესეც ჩვენი კანონით იყო განსაზღვრული. თუ რამე გადარჩა საქართველოს ტყეებიდან, ეკლესიისთვის მიჩენილი ტყეებიდან გადარჩა. დღეისთვის ეკლესიის გარშემო არსებული ტყეები ყველაზე შენახული ტყეებია. მიჩენის წესით ეკლესიისთვის გადაცემული ტყეები, ახლა საკუთრებაში გადადის, 20 ჰექტარის ფარგლებში. ტყე გადაეცემათ იმ ეკლესიებს, რომლებიც ტყესთან ახლოსაა. თბილისში ან სხვა ქალაქში მდებარე ეკლესიას კი ტყე არ გადაეცემა.

– თუ არ ვცდები, ბოდბელმა ეპისკოპოსმა განაცხადა, ვინც ღელავს ეკლესიისთვის ტყის გადაცემაზე, მაშინ რატომ არ ღელავდა შაჰ-აბასის შვილთა შვილებსა და ჩინელებს რომ გადაეცათ ტყეებიო.

– ვინც ამაზე ყვირის, როგორც ჩანს, ნაცმოძრაობის რუპორებია. ამას პოლიტიკურ თემებს აბამენ მაშინ, როდესაც 1999 წლიდან კანონით არის განსაზღვრული. ყველაზე დიდი სიბინძურე, რაც 2004-2012 წლების განმავლობაში, ნაცების დროს მოხდა, სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესმენებისთვის 166 ათასი ჰექტარი ტყის გადაცემაა.

– დღეს რა მდგომარეობაშია ეს ტყეები?

– ტყეებმა ყველაზე დიდი დარტყმა მიიღეს. უცხოელები ჩავიდნენ, ნახეს გასაყიდი მასალა და, ფაქტობრივად, იქაურობა გაპარსეს. 166 ჰექტარი ტყე 70 სუბიექტს ჰქონდა გადაცემული.

– რომელი ქვეყნების ბიზნემენებს გადაეცათ საქართველოს ტყეები?

– ქვეყნებს ნუ ჩამომათვლევინებთ. პოლიტიკოსი ვარ და არ შეიძლება.

– ერთი ჩინეთი რომ არის, ვიცით.

– ბევრნი არიან, 70 სუბიექტია. ხელისუფლებაში ჩვენ რომ მოვედით, 2014 წელს, მრავალწლიანი იჯარის (მაქსიმუმ 20-წლით) წესით ტყეების გადაცემა შევაჩერეთ. ახალი კოდექსი ტყეების იჯარით გაცემას, საერთოდ, კრძალავს. რიგი შეთანხმებები გავაუქმეთ სხვადასხვა დარღვევების გამო. პირდაპირ ვერ გააუქმებ. ამჟამად 70-დან 38 ლიცენზია მოქმედია.

– იმ ტყეებში, რომელიც უცხოელ ბიზნესმენებს ჰქონდათ გადაცემული, ტყე იჭრებოდა და მასალა საზღვარგარეთ გადიოდა?

– დიახ, ამ პროცესმა კატასტროფული ხასიათი მიიღო. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა კი რუსეთის იმპერიამ დაიწყო.

– დიახ, მათ დაანგრიეს ეკლესიები.

– ყველაზე დიდი დარტყმა ეკლესიას ბოლშევიკებმა მიაყენეს. 1917 წელს რუსეთში რევოლუციის შემდეგ, ლენინმა გამოსცა დეკრეტი და ეკლესიას საკუთრების უფლება წაართვა. 1921 წელს, როდესაც საქართველოს გასაბჭოება ძალით მოხდა, ერთ-ერთი პირველი დეკრეტი ბოლშევიკებმა სწორედ ეკლესიისთვის საკუთრების უფლების ჩამორთმევაზე გამოსცეს, რაც მისი ლიკვიდაცია იყო.

– ახლა ამას დღევანდელობას რატომ უკავშირებთ?

– ახლა ვუკავშირებ იმ ხალხს, ვინც ეკლესიას ებრძვის და იგივე ბოლშევიკებია. სხვათა შორის, იმპერიის წარმომადგენლები არიან. ბოლშევიკების გაუქმებული უფლებების აღდგენა ეკლესიისთვის 1990 წელს დაიწყო. წარმოიდგინეთ, რამხელა ძვრა იყო.

– თქვენ ბოლშევიკებს და ნაციონალებს ერთმანეთს ადარებთ?

– დიახ, ეკლესიას ებრძოდნენ ისიც და ესენიც ეკლესიას ებრძვიან. უარესს გეტყვით – ნაცმოძრაობამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკლესიის ნგრევა დაიწყო. გახსოვთ, გლდანის ეკლესიის კარებს მანქანით რომ ანგრევდნენ.

– თუმცა, შემდეგ ეკლესიას ჯიპები აჩუქეს.

– საზოგადოების რეაქცია რომ დაინახეს, შეეშინდათ და გამოსწორება სცადეს. 1921 წელს ბოლშევიკებმა, ანუ მაშინდელმა ნაციონალებმა, ყველაფერს ისიც დაამატეს, რომ შექმნეს „მებრძოლ უღმერთოთა კავშირი“, რომლის წევრები ეკლესიებს ანგრევდნენ, მღვდლებს პარსავდნენ, გუმბათებს ანგრევდნენ, ეკლესიებს ძარცვავდნენ და ქონება გამოჰქონდათ.

– ნაციონალებს ამდენი არ გაუკეთებიათ.

– ნაციონალებს არ დასცალდათ, თორემ მაგასაც გააკეთებდნენ, მათი გეგმა ასეთი იყო – ჯერ დაიწყეს აგრესიული მოქმედება და ეკლესიაზე ფიზიკური ზეწოლა, ხალხის რეაქცია რომ დაინახეს, შემდეგ დაიწყეს ეკლესიის დისკრედიტაცია, რასაც ახლაც აგრძელებენ. კოვიდის დროსაც იყო შეტევა.

– ერთი ჰკითხე ნაციონალებს, ყველანაირი კლასტერი გაჩნდა საქართველოში, ეკლესიაში, მიუხედავად იმისა, აღდგომა იყო, ხალხი მივიდა, არც ერთი კლასტერი რატომ არ გაჩნდა? აი. პასუხი.

– ეკლესიისთვის ტყეების გადაცემის საკითხი გადაწყვეტილი საკითხია?

– გადაწყვეტილია, კანონი მესამე მოსმენით მივიღეთ. 4 წელია ამ კანონს ვამუშავებთ, რაშიც მწვანეთა პარტია აქტიურად იყო ჩართული.

რას უკავშირდება რუსეთის მიერ საქართველოში წამოწყებული ბორდერიზაციის ახალი ტალღა?

„აფხაზეთში ზიკას ვირუსია შეტანილი“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო წლებში რუსეთი და მის მიერ მართული საოკუპაციო ძალები სისტემატურად ახორციელებენ საოკუპაციო ზოლის, იგივე გამყოფი ხაზის გადმოწევას. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანას მიმდებარედ მიმდინარე ბორდერიზაციის მორიგი ტალღა გართულებულ პოლიტიკურ მდგომარეობას დაემთხვა.
ამავე მოვლენის პარალელურად, საქართველოს სუს-მა დაიწყო გამოძიება რასობრივი და ეროვნული დისკრიმინაციის ფაქტებზე. საქმე ეხება პირთა ჯგუფს, რომელიც აღვივებს შუღლს ქართველებსა და ადგილობრივ აზერბაიჯანელებს შორის.

ეს პროცესები, პირდაპირ თუ ირიბად, დაკავშირებულია რუსეთის ინტერესებთან და საქართველოში დესტაბილიზაციის მცდელობებთან.

ამავე დროს რუსეთის ფედერაციაში გრძელდება კამპანია საქართველოში მოქმედი ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, ბოლო დროს მოსკოვმა კიდევ ერთხელ მოითხოვა თავისი წარმომადგენლების დაშვება ლაბორატორიაში. თბილისი რევიზიას დათანხმდა საერთაშორისო ფორმატის პირობით. რუსებს ლუგარის ლაბორატორიაში შეუშვებენ საერთაშორისო ორგანიზაციების თანხლებით.

თბილისის პასუხმა კრემლი გააღიზინა. ეს თემა დღის წესრიგიდან არ იხსნება. რუსეთში ამბობენ, რომ შემოწმება საერთაშორისო დელეგაციის შემადგენლობაში გადაიქცევა ბანალურ ექსკურსიად – რევიზორებს ჩამოატარებენ ოთახებში. ეს არ იქნება შემოწმება. შემოწმებას დიდი დრო სჭირდება. თბილისს და კი ეს არ აწყობს. რუსეთის ექსპერტები იმეორებენ, რომ ეს სამხედრო ობიექტია, საკითხებს ამ ობიექტზე ლაბორატორიის ნამდვილი ოკეანისგაღმელი პატრონები წყეტენ. მათ თავის საიდუმლო დაწესებულებაში რუსების მიშვება არ უნდათ.

– ეს საქართველოს ლაბორატორია კი არა, აშშ-ის არმიის ლაბორატორიაა. ამ საკითხის საყოველთაო განხილვა ვერ მოხდება აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს გარეშე, – აცხადებს რუსეთის ყოფილი სანიტარული ექიმი, სახელმწიფო დუმის დეპუტატი, გენადი ონიშჩენკო.

ონიშჩენკო, რომელიც კრემლის პოზიციას გამოხატავს, აღნიშნავს, რომ ბიოლაბორატორიაში საქმიანობა დაფარულია. ამიტომ საჭიროა მისი საფუძვლიანი შესწავლა:

– თუ სამხედრო ქარხანაში აკეთებენ ტანკებს, ეს მაშინვე ჩანს. სამხედრო ბიოლაბორატორიაში დაცვის მაღალი უნარიანობით მაშინვე ვერ გაიგებ, რა ხდება.

რუსები ირწმუნებიან, რომ ლაბორატორიაში პათოგენების გადამტან მწერებზე მუშაობენ. ამის შედეგს ისინი რუსეთის სამხრეთში ღორის აფრიკული ჭირის, ასევე აფხაზეთსა და რუსეთის კრასნოდარის მხარეში ზიკას ვირუსის გაჩენაში ხედავენ.

– მშვიდობიან კვლევებზე საუბარი ზედმეტია. რუსეთმა უნდა მოითხოვოს თავისი რეგულარული ინსპექციები აშშ-ის ყველა ბიოლაბორატორიაში, რომელიც მის საზღვრებთან მდებარეობა, – აცხადებს გაეროს გენმდივნის ყოფილი მრჩეველი ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის საკითხებში იგორ ნიკულინი.

რუსეთში ამბობენ, რომ ამერიკული ბიოლაბორატორიები ემუქრება რუსეთის უსაფრთხოებას. ამიტომ ისინი უნდა მოწმდებოდეს. იმ ქვეყნებს, რომლებიც შედიან რეგიონული უსაფრთხოების ორგანიზაცია ოდკბ-ში, მოსკოვმა უნდა მოსთხოვოს მათი გატანა მათი ტერიტორიებიდან.

– უმოქმედობა ამ მიმართულებით დაუშვებელია. საქართველო და უკრაინა, სადაც ბიოლაბორატორიები მუშაობს, რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებია. უცნაურია, რომ მსგავსი ლაბორატორია არსებობს რუსეთის უახლოესი მოკავშირის – ყაზახეთის ტერიტორიაზეც, – ამბობს რუსეთის ფედერაციის საბჭოს წევრი იგორ მოროზოვი.

თემას კომენტატორები ეხმაურებიან. მათი უმრავლესობა მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას, უფრო გადამჭრელი ზომები მიიღოს „ურჩი“ და რუსეთისათვის საფრთხის შემცველი მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ. მათი აზრით, თუ რუსეთის სპეციალისტებს საქართველოში განლაგებულ ბიოლაბორტორიაში ინსპექტირების უფლებას არ აძლევენ, რუსეთმა საშშ ობიექტებს სარაკეტო დარტყმები უნდა მიაყენოს.

დაბომბავს თუ არა რუსეთი საქართველოს, მსოფლიოში შექმნილ სიტუაციაზეა დამოკიდებული.

დასავლელი ანალიტიკოსები პოსტპანდემიურ პერიოდში დასავლეთის მხრიდან რუსეთის მიმართ უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარებას ვარაუდობენ.

ექსპერტების ნაწილი არ გამორიცხავს რუსეთის ჩაბმას ლოკალურ ომში. ამის წინაპირობას ისინი ხედავენ იმაში, რომ აშშ გამოვიდა „ღია ცის ხელშეკრულებიდან“ და რუსეთი მის დარღვევაში დაადანაშაულა.

ნატომ კი მოითხოვა შეზღუდვების მოხსნა საინსპექციო ფრენებზე კალინინგრადის თავზე და საქართველოს საზღვართან.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აშშ-მ რეგიონში რუსეთი კედელთან მიაყენა – მისგან მოითხოვენ, რომ მან აღიაროს ოკუპირებული აფხაზეთი, ასევე ცხინვალის რეგიონი საქართველოს ნაწილებად, ასევე უკრაინის ნაწილად ცნოს ანექსირებული ყირიმი.

ითვლება, რომ რუსეთს ბოლო წლებში დამეგობრებული თურქეთიც დაუპირისპირდა.

ნატოს წევრი თურქეთი ყირიმს უკრაინის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, მას სამხედრო თანამშრომლობა აქვს უკრაინასთან. მოსკოვისა და ანკარას ინტერესები ერთმანეთს მკვეთრად შეეჯახა სირიასა და ლიბიაში.

რუსეთთან გამკაცრდა გერმანიაც. მისი ინიციატივით, ევროკავშირის ახალი სანქციები დაუწესდებათ რუსეთის ჰაკერებს, რომლებიც გარეული არიან ჰაკერულ 2015 წლის შეტევაზე ბუნდესტაგზე.

საქართველოს გარშემო გეოპოლიტიკური ვითარება ისევ რთულდება. ეკონომიკური და პოლიტიკური პოსტკრიზისული პრობლემებისა და არჩევნების ფონზე ის უფრო გამძაფრდება.

ზურაბ მამადაშვილს ოლეგ მამადაშვილის მკვლელობისთვის 19 წელი მიუსაჯეს

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული ზურაბ მამადაშვილი დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის 6 სექტემბერს, თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამადაანებში, ზურაბ მამადაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, განზრახ მოკვლის მიზნით, ოლეგ მამადაშვილს არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, გულმკერდის არეში დანით მიაყენა ჭრილობა, მიყენებული დაზიანების შედეგად ოლეგ მამადაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. ზურაბ მამადაშვილი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ზურაბ მამადაშვილი 2019 წლის 9 სექტემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ზურაბ მამადაშვილი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 19 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მე-9 მოსამართლედ ვასილ როინიშვილი აირჩიეს

უზენაესი სასამართლოს პლენუმმა საკონსტიტუციო სასამართლოს მე-9 მოსამართლედ ვასილ როინიშვილი აირჩია.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატურის ვინაობა 29 მაისს გახდა ცნობილი. ვასილ როინიშვილი უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეა, რომელსაც უფლებამოსილების ვადა რამდენიმე თვის წინ ამოეწურა.

ვასილ როინიშვილი პარლამენტში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად იყო წარდგენილი. პროცედურის თანახმად, თუკი მას აირჩევს პლენუმი, მან უნდა დაწეროს განცხადება და მოხსნას საკუთარი კანდიდატურა უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობის შესახებ.

„ასფალტზე მარტყმევინეს თავი“

ქუთაისში 50 წლის მამაკაცი დააკავეს

31 მაისს ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე, ათეულობით თვითმხილველის თვალწინ, 50 წლამდე მამაკაცს სამართალდამცველები ფიზიკურად გაუსწორდნენ.

– კი, ძმაო მცემეს. ასფალტზე მარტყმევინეს თავი. ექსპერტთან წამიყვანეთ, – უთხრა დაკავებულმა მთავარ არხს.

ადგილობრივები ამბობენ, რომ პოლიციელებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მსგავსი მეთოდებით ისე დააკავონ პირი, ინფორმაცია გადამოწმებულიც არ ჰქონდეთ.

ნეკა დოროყაშვილის ადვოკატებმა ნიკა გვარამიას უჩივლეს

ნიკოლოზ ბასილაშვილის ყოფილი მეუღლის, ნეკა დოროყაშვილის უფლებადამცველებმა ტელეკომპანია „მთავარის“ დირექტორს, ნიკა გვარამიას ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში უჩივლეს.

ქარტიის სამდივნომ დასაშვებად ცნო „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ განცხადება ტელეკომპანია „მთავარის“ გადაცემა „მთავარი აქცენტების“ წამყვანის – ნიკა გვარამიას წინააღმდეგ.

სადავო გადაცემა „მთავარი აქცენტები“ ეთერში 2020 წლის 24 მაისს გავიდა და მხარის პრეტენზია გვარამიას მონოლოგის იმ ნაწილს ეხება, როდესაც ის ყოფილი ცოლის ცემაში ბრალდებული ნიკოლოზ ბასილაშვილის საქმის დეტალებზე საუბრობს.

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ განმარტებით, გარდა იმისა, რომ წამყვანის მონოლოგში ბასილაშვილის ყოფილი მეუღლის მხრიდან შანტაჟთან დაკავშირებული ინფორმაცია ფაქტადაა გადმოცემული და სიმართლეს არ შეესაბამება, მსხვერპლი ისეა წარმოჩენილი, თითქოს მან უბიძგა ბრალდებულს ძალადობის ჩადენისკენ და ქმნის წარმოდგენას, თითქოს „ქალის გარკვეული „არასწორი“ სოციალური ქცევა, მამაკაცს ანიჭებს პრივილეგიას, რომ მას ძალადობრივი მეთოდებით გაუსწორდეს.“

განმცხადებელი მიიჩნევს, რომ ამბის ამგვარად გადმოცემა ინფორმაციის სიზუსტის დარღვევა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის წახალისებაა.

ქარტიის საბჭო განცხადებას ღია სხდომაზე განიხილავს და დაადგენს, დაირღვა თუ არა ქარტიის პრინციპები.

„საწყალი, სულ მეცოდებოდა, ფეხის თრევით დადიოდა“

უჯარმის ქუჩაზე 60 წლის მამაკაცი დაჭრეს

თბილისში 60 წლის მამაკაცი დაჭრეს. ინციდენტი უჯარმის ქუჩაზე მოხდა.

მამაკაცი ისანში, უჯარმის ქუჩაზე ქირით 1 კვირის წინ გადმოვიდა. ის სახლში 30 მაისს ღამე, მეგობრებთან ერთად დაბრუნდა.

– საწყალი, სულ მეცოდებოდა, ფეხის თრევით დადიოდა, წყნარად მიდიოდა, მოდიოდა, საცოდავად. მარტომ დაიქირავა ბინა, ვინც მაგას მოყვა, იმან თქვა, საწყალი კაცია, იქნება მარტოო. დილით სასწრაფი იყო მოსული. თვითონ იმ კაცს ეკითხებოდნენ, სად დაგჭრესო და მიანიშნა, იქითო და წავიდა და მთელი პოლიცია თან წაყვა, – თქვა მეზობელმა მთავართან საუბარში.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 120-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცი ცივი იარაღით არის დაჭრილი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა და პრემიერ-მინისტრმა პოლიციის თანამშრომლები დააჯილდოვეს

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ პოლიციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის 10 თანამშრომელი მედლით – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ დააჯილდოვეს.

– ჩემთვის დიდი პატივია და საამაყოა, მქონდეს შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ მივულოცო პოლიციის დღე თითოეულ თქვენგანს – ოფიცერს, რიგითს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სრულ შემადგენლობას, მესაზღვრეს, მაშველს, მეხანძრეს, ყველას, ბატონო ვახტანგ, თქვენ გილოცავთ პირველ რიგში, როგორც ამ მნიშვნელოვანი უწყების ღირსეულ ხელმძღვანელს. შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩართულია ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში.

ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ღირსება და სამართლიანობა არის უდიდესი ფასეულობა, იმიტომ, რომ ყველგან ხართ. ადამიანი, რომელიც ქუჩაში გამოდის, ის სახელმწიფოს პირველ რიგში აღიქვამს თქვენი საშუალებით. აი, ფორმიან ადამიანს ხედავს და მისი ქცევის მოდელი არის სახელმწიფოს მოდელი. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა. რა თქმა უნდა, ყველა ის პოლიციელი და შსს-ს ყველა თანამშრომელი, რომელმაც თავი გაწირა, როგორც კრიმინალთან ბრძოლაში, ასევე ქვეყნის ინტერესების, ერთიანობის, დაცვის კონტექსტში, ყველა უნდა გვახსოვდეს, ყველას პატივი უნდა მივაგოთ, ყველას ოჯახებზე უნდა ვიზრუნოთ, ყველას შვილებს უნდა მივხედოთ, მარტივი ჭეშმარიტებებია ეს ყველაფერი.

ის, რაც ჩვენს ღირსებას, პოლიციელის მუნდირის ღირსებას აძლიერებს, ეს არის ის, ყოველდღიურად რითიც უნდა ვიცხოვროთ, ვისუნთქოთ და ვიმუშაოთ. ეს არის და ეს. კიდევ ერთხელ გილოცავთ და იცოდეთ, რომ იმაზე უფრო დიდი ღირსება, ემსახურო შენს ქვეყანას და მოქალაქეს, დაიცვა მისი ჯანმრთელობა, სიცოცხლე, მშვიდი ყოველდღიური ცხოვრება, ამაზე უფრო დიდი ღირსება არ არსებობს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ.

ვახტანგ გომელაურმა პოლიციელებს პროფესიული დღე მიულოცა და გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.

– მე მინდა მოგილოცოთ ყველა თქვენგანს პროფესიული დღე, პოლიციის დღე, არამარტო თქვენ, მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს, დაწყებული რიგითიდან – ხელმძღვანელით დამთავრებული. ეს სამი თვე, საგანგებო რეჟიმზე ვიყავით გადასული, ვართ კიდევაც, ვაგრძელებთ. თვეები ოჯახში არ ყოფილხართ, ადგილებზე იყავით დარჩენილი, თითქმის ყველა რეგიონში.

იყო შემთხვევები, ბატონო პრემიერო, როდესაც შვილი შეეძინათ, ერთ-ერთი გვყავს – სულხანი და დიდი ხნის განმავლობაში ნანახი არ ჰყავდა შვილი. ვიცით, რა სამსახურსაც ეწევით, თქვენს ჯანმრთელობას, ყველაფერს რისკავთ ისევ ჩვენი მოქალაქეების გადასარჩენად. ძალიან ბევრი გააკეთეთ, არ მინდა, რომელიმე გამოვყო, ყველა დანაყოფი იყო ჩართული და მე მინდა, მადლობა გითხრათ, ყველას მოგილოცოთ კიდევ ერთხელ, წარმატება გისურვოთ, ჯანმრთელობა.

ვიცით, თუ რა სამსახურია – წლებია, მეც დიდი ხანია უკვე ამ სტრუქტურაში, ამ სისტემაში ვარ, ოჯახში უვნებლად დაბრუნებას გისურვებთ ყოველთვის. რაც ყოველთვის მძიმეა ჩვენი სამინისტროსთვის, ქვეყნისთვის, ერთი პოლიციელის დაკარგვაც უმძიმესია ჩვენთვის. ამიტომ ჯანმრთელი და მშვიდობიანი დაბრუნებულიყავით ყოველთვის თქვენს ოჯახებში. გილოცავთ კიდევ ერთხელ, – აღნიშნა ვახტანგ გომელაურმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარიამ I ხარისხის მედალი – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს, პოლიციის პოლკოვნიკ ლაშა გოგნიაშვილს პირადად გადასცა. II ხარისხის მედალი – „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ კი გადაეცათ სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის თანამშრომლებს: საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი – ოთარ ჭელიძე, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ – ავთანდილ ჩიტაძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური – მანუჩარ მარგიანი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი – ალექსანდრე ბირთველიშვილი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი – რამაზ თარაშვილი, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი – ბაკურ კურტანიძე, თბილისის პოლიციის დეპარტამენტი – ტარიელ ალავიძე, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი – ალექსანდრე დადიანიძე, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი – კარლო ურუშაძე.

წერეთელზე მომხდარი დაჭრის ფაქტზე ლ.ა. და ვ.გ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ლ.ა. და 1996 წელს დაბადებული ვ.გ. ჯგუფურად ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 9-დან 13 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირზე მდებარე სკვერში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით დაჭრეს 1991 წელს დაბადებული გ.ბ. და 1988 წელს დაბადებული ბ.ჭ., ხოლო 1994 წელს დაბადებულ ბ.ბ.-ს ბლაგვი საგნით სხეულზე დაზიანება მიაყენეს.

დაჭრილები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა, ხოლო ბ.ბ.-ს ადგილზე აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება. ამ დროისთვის, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

სამართალდამცველებმა იმ ავტომობილის ჩხრეკისას, რომლითაც ბრალდებულები გადაადგილდებოდნენ, დანაშაულის ჩადენის იარაღები – ორი ხელკეტი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გარდა ამისა, გრძელდება ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები ინციდენტში მონაწილე სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 117-მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ ორი ან მეტი პირის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

რუსთავთან ბზიკის გამო მანქანა ამოტრიალდა

დედა-შვილი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავი-ლილოს გზაზე. ავარიის შედეგად დედა-შვილი დაშავდნენ.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და რამდენჯერმე გადაბრუნდა.

ავარიის მთავარ გამომწვევ მიზეზად ავტომობილში შეფრენილი ბზიკი სახელდება.

დაშავებულები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა რუსთავში გადაიყვანა.

მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

თურქეთში ალექსანდრე ჭიტაური აფეთქებას ემსხვერპლა

თურქეთში, ქალაქ სტამბოლში საქართველოს მოქალაქე, 45 წლის ალექსანდრე ჭიტაური საწარმოში აფეთქების დროს დაიღუპა.

როგორც ადგილობრივი მედია საშუალებები იუწყებიან, ჯინსის სამრეცხაოს განყოფილებაში წყლის გამათბობელი ქვაბი აფეთქდა.

აფეთქების შედეგად ნანგრევებში ორი ადამიანი მოყვა, რომელთა გადარჩენაც ვერ მოხერხდა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს პოლიციის დღეს ულოცავს

აზერბაიჯანის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ვილაიატ ეივაზოვი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ვახტანგ გომელაურს პოლიციის დღეს ულოცავს.

„ნება მიბოძეთ, გულითადად მოგილოცოთ თქვენ და სამინისტროს თანამშრომლებს პოლიციის დღე და თითოეულ თქვენგანს ვუსურვო ყოველივე საუკეთესო თქვენს მნიშვნელოვან და დიდებულ საქმიანობაში.

დღეს ქართული პოლიცია ემსახურება ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს და კეთილსინდისიერად ასრულებს აღებულ ვალდებულებებს საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, სტაბილურობის შენარჩუნებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის კუთხით. მსურს, დიდი კმაყოფილებით აღვნიშნო ჩვენი უწყებათაშორისი მიზნობრივი ურთიერთობის დონე. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობა, რომელიც ურთიერთნდობასა და მხარდაჭერას ეყრდნობა, კიდევ უფრო განვითარდება და გაძლიერდება ჩვენი ხალხების სასარგებლოდ და მუდამ შეინარჩუნებს განვითარების ტემპს.

ამ სასიხარულო დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მშვიდობასა და კეთილდღეობას საქართველოს მეგობრულ ხალხს“ – ნათქვამია ვილაიატ ეივაზოვის მილოცვაში.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და ქართველ პოლიციელებს პროფესიულ დღეს ულოცავენ

ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეროვნული პოლიციის წარმომადგენლები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ვახტანგ გომელაურს და ქართველ პოლიციელებს პროფესიულ დღეს ულოცავენ.

„ბატონო შინაგან საქმეთა მინისტრო და ძვირფასო ქართველო კოლეგებო, გილოცავთ პოლიციის დღეს!“ – ნათქვამია ესპანეთის სამეფოს ეროვნული პოლიციის წარმომადგენლების მილოცვაში.

ასევე, ქართველ კოლეგებს პროფესიულ დღეს ულოცავენ ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო გვარდიის წარმომადგენლები.

„ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის სახელით, პატივი გვაქვს, ქართველ კოლეგებს მივულოცოთ პროფესიული დღესასწაული! გილოცავთ“ – ნათქვამია ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო გვარდიის მილოცვაში.

დონალდ ტრამპი: „ავაზაკებმა და ანარქისტებმა ჯორჯ ფლოიდის ხსოვნა შეურაცხყვეს“

– მეამბოხეებმა, ავაზაკებმა და ანარქისტებმა ჯორჯ ფლოიდის ხსოვნა შეურაცხყვეს.

ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა აფრო-ამერიკელი მამაკაცის, ჯორჯ ფლოიდის, დაღუპვასთან დაკავშირებით მიმდინარე საპროტესტო აქციების კომენტირებისას განაცხადა.

– ჯორჯ ფლოიდის სიკვდილი მძიმე ტრაგედია იყო. მისი ხსოვნა მეამბოხეებმა, ავაზაკებმა და ანარქისტებმა შეურაცხყვეს, – აღნიშნა ტრამპმა.

აშშ-ში რამდენიმე დღეა მასშტაბური საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. პროტესტი მინესოტას შტატის ქალაქ მინეაპოლისში 46 წლის ჯორჯ ფლოიდის დაკავების ამსახველმა ვიდეომ გამოიწვია.

კადრებში ჩანს, რომ ხელშეკრულ მამაკაცს პოლიციელი მუხლს კისერზე აჭერს, ისმის დაკავებულის სიტყვებიც, რომ სუნთქვა აღარ შეუძლია.

საპროტესტო აქციები სამართალდამცავებთან ძალადობრივ შეტაკებებში გადაიზარდა. მომიტინგეებმა დაარბიეს შენობები და დაწვეს პოლიციის მანქანები. არსებული მდგომარეობის გამო, ქვეყნის რამდენიმე დიდ ქალაქში ღამის საათებში კომენდანტის საათი გამოაცხადეს და საგანგებო მდგომარეობა დააწესეს.

ილონ მასკის რაკეტა კოსმოსში გაუშვეს

30 მაისს ილონ მასკის „სფეის იქსის“ რაკეტა „ფალკონ 9“ კანავერალის კონცხიდან საერთაშორისო კოსმოსური სადგურისკენ წარმატებით გაიშვა.

რაკეტაზე მოთავსებული იყო კაფსულა, რომელშიც ნასას ორი ასტრონავტი, რობერტ ბენკენი და დაგლას ჰარლი იჯდა.

ეს პირველი შემთხვევაა კოსმოსური შატლის პროგრამის დახურვის შემდეგ (2011 წლის ივლისი), როდესაც ნასას ასტრონავტები საერთაშორისო კოსმოსურ სადგურზე ამერიკის მიწიდან, ამერიკული რაკეტით გაემგზავრნენ. ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, ნასა ამისათვის რუსეთის რაკეტა „სოიუზს“ იყენებდა, რომლითაც ასტრონავტები სადგურზე ყაზახეთიდან, ბაიკონურის კოსმოდრომიდან მიემგზავრებოდნენ.

გუშინ, 31 მაისს, თბილისის დროით 18:30 საათზე, ხომალდი კოსმოსურ სადგურს წარმატებით მიუერთდა.

რუსეთი ლიბიაში პლაცდარმს ქმნის

რუსეთმა ლიბიაში სამხედრო ავიაცია გადაისროლა. თანახმად აშშ-ის დაზვერვის ცნობისა, ლიბიაში გადაისროლეს 14 ავიაგამანადგურებელი. ამერიკელი სამხედროები თვლიან, რომ რუსები ამით ცდილობენ, ლიბიაში თავისი პლაცდარმი შექმნან.

– თუ დაუყოვნებლივ საპასუხო ზომები არ განხორციელდა, აფრიკაში ძალთა ბალანსი მოსკოვის სასარგებლოდ შეიცვლება, – ასეთია ამერიკელი ანალიტიკოსების პოზიცია.

ლუკაშენკო: „მთელ მსოფლიოს ბელორუსის შურს!“

ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო მინსკის სატრაქტორი ქარხანას ეწვია. მუშებთან საუბარში მან განაცხადა, რომ მთელ მსოფლიოს ბელორუსის შურს. პანდემიის დროს ბელორუსმა მკაცრ საკარატინო რეჟიმზე უარი განაცხადა, 9 მაისის პარადიც წესისამებრ ჩაატარა და ა.შ.

– გამომდინარე ზემოთქმულიდან, კანონზომიერია, რომ მთელ მსოფლიოს ბელორუსის შურს! – თქვა ლუკაშენკომ.

პრეზიდენტმა მუშებს უთხრა, რომ კორონავირუსი საშიში სულაც არ არის.

– ვინც დაავადდება, მოვარჩენთ! ჩვენმა ექიმებმა ეს საქმე ჩინებულად იციან, – თქვა პრეზიდენტმა.

ლუკაშენკო ქვეყნის სუვერენიტეტის საკითხსაც შეხო. მან თქვა, რომ ბელორუსი რუსეთის შემადგენლობაში არასოდეს შევა, მაგრამ მოსკოვთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კავშირები მჭიდროა და ეს მომავალშიც გაგრძელდება.

– ჩვენ შევინარჩუნეთ ის ეკონომიკური კავშირები, რომლებიც სსრკ-ს დროს არსებობდა! დამოუკიდებლობა არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთთან ყველა კავშირი უნდა გაწყდეს! – განაცხადა პრეზიდენტმა.

იაკუტელი შამანი შესაძლოა საგიჟეთში მოათავსონ

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ პოლიციამ იაკუტელი შამანი გაბიშევი დააკავა. ის მოსკოვში ფეხით მიემართებოდა, რათა ვლადიმერ პუტინი კრემლიდან გამოეგდო.

გაბიშევი ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაატარეს. კომისიამ ის შეურაცხადად ცნო.

– გაბიშევი საშიშროებას წარმოადგენს როგორც საკუთარი თავის, ისე საზოგადოებისთვის, – ასეთია ექიმების დასკვნა.

იაკუტელი ფსიქიატრები აპირებენ, სასამართლოს სპეციალური სარჩელით მიმართონ, რათა გაბიშევი საგიჟეთში მოათავსონ და იძულებითი მკურნალობა დაუნიშნონ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

„სკოლებში დისტანციურმა სწავლებამ გაამართლა, ბევრად უარესის მოლოდინი მქონდა“

როლანდ ხოჯანაშვილი: „ვისაც არ უნდა პროფესიული მოვალეობის შესრულება, მას მიზეზი არ დაელევა“

ეკა ირემაშვილი

მსოფლიოში გავრცელებულმა კორონავირუსმა მთელი პლანეტის გეგმები შეცვალა. განათლების სფეროს მესვეურებმა სწავლის გაგრძელებისთვის ონლაინ-სწავლება დანერგეს.

გაამართლა თუ არა დისტანციურმა სწავლებამ და რამდენად მომზადებული აღმოჩნდა საქართველო და მისი რეგიონები დისტანციური სწავლებისთვის, ამ თემებზე „ახალ თაობას“ სასკოლო სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) განვითარების, დაგეგმვისა და დანერგვის ექსპერტი **როლანდ ხოჯანაშვილი** ესაუბრა.

– რას გვეტყვით დისტანციურ სწავლებაზე? ამ საკითხზე არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს.

– დავიწყოთ იმით, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონში რამდენიმე წლის წინ ცვლილება შევიდა, რომელიც პედაგოგს ავალდებულებს, იყოს მზად დისტანციური სწავლებისთვის. სწავლების ეს ფორმა ჩვენი საზოგადოებისთვის აღმოჩნდა განსაკუთრებულობა, თორემ ბევრ ქვეყანაში დანერგილია. გასულ საუკუნეში, მაგალითად, კანადაში მეჩხერი დასახლების გამო სწავლება რადიოთი მიმდინარეობდა. ახლა კი უკეთესი საშუალებები გვაქვს და მისი გამოყენებით მეტ ეფექტს აღწევს მსოფლიო. დისტანციური სწავლება გულისხმობს ყველა იმ საშუალების (სატელეფონო, ონლაინ პლატფორმები...) გამოყენებას, რომელიც ანაცვლებს კონტაქტურ სწავლებას. ბევრგან დისტანცირება დროისა და ფინანსების დაზოგვას ემსახურებოდა, წელს კი ჩვენ აუცილებლობამ – კოვიდ 19-მა დაგვარწმუნა, რომ ჩვენივე უსაფრთხოებისთვის ასე სჯობდა.

რაც შეეხება კითხვას, ამ ეტაპზე დისტანციურმა სწავლებამ გაამართლა თუ არა, მინდა გითხრათ, რომ ბევრად უარესის მოლოდინი მქონდა. იმ სკოლებს, რომლებსაც მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები ჰყავს, არ გასჭირვებია დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება. საგანმანათლებლო პლატფორმებს მასწავლებლებმა და კიდევ უფრო უკეთ მოსწავლეებმაც სწრაფად აუღეს ალღო. სამწუხარო რეალობაა, რომ ბევრგან ტექნოლოგიების გამოყენება ვერ მოხერხდა ორი ფაქტორის გამო: ან ვერ ფლობს პედაგოგი დისტანციური სწავლების უნარებს, ან ინტერნეტის მიწოდებაა პრობლემა. ვიცი, რომ ბევრმა პედაგოგმა ღამეები გაათენა იმისათვის, ესწავლათ „ზუმის“, „თიმსისა“ და სხვა პლატფორმების გამოყენება. აქვე დავძენ, ტექნოლოგია რთულის მარტივად მოსაგვარებლად იქმნება და ბევრმა პედაგოგმა სწრაფად მოახერხა „ციფრული პედაგოგის“ იმიჯის შექმნა.

– რამდენად მომზადებული აღმოჩნდა საქართველოს რეგიონები დისტანციური სწავლებისთვის?

– დავიწყოთ იმით, რომ დისტანციური სწავლება მანძილსა და გეოგრაფიას არ ცნობს. შესაძლოა, მასწავლებელი ასეულობით კილომეტრით, ან რამდენიმე მეტრით იყოს მოცილებული მოსწავლეს და ეს არაფერს ცვლის. პრობლემა არა ლოკაციებზე, არამედ ინტერნეტის მიწოდებაშია. ზოგ მოსწავლეს და მასწავლებელსაც შინ არ ჰქონდა „ჭკვიანი“ ტექნოლოგიები, მაგრამ ეს საკითხი თითქმის ამოიწურა. უმეტესად, ყველას აქვს ახლა „ბუქი“ და სმარტფონი მაინც. ვისაც ტექნიკა არ ჰქონდა, მნიშვნელოვან ნაწილს მაინც, სოციალური კამპანიის ფარგლებში გადაეცათ. რაც შეეხება ინტერნეტის შეფერხებით მიწოდებას, ამის ნათელ მაგალითსაც გეტყვით. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არის ღიხეთის საჯარო სკოლა. ამ სოფელში, რადგან ხეობაშია, ინტერნეტის მიწოდება, ფაქტობრივად, არ ხერხდება. მასწავლებლები ტელეფონით ასწავლიან მოსწავლეებს, უხსნიან საკითხებს, აძლევენ უკუკავშირს დავალებებზე და შედეგი მაინც აქვთ! მთავარია, რომ გინდოდეს, საშუალებას ყოველთვის მოძებნი. ვისაც არ უნდა პროფესიული მოვალეობის შესრულება, მას მიზეზი არ დაელევა. ზემოთ ნახსენები სკოლა ჩემთვის არის სანიმუშო – არის დაბრკოლება, მაგრამ არის მისი მოგვარების გზაც.

– ხელმისაწვდომია თუ არა ყველა მოსწავლისთვის ინტერნეტი?

– ბუნებრივია, ასი პროცენტით ეს არ მოხერხდება. ჩვენი სახელმწიფო განვითარებადია და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინება უკვე პასუხსაც გვაძლევს. სხვათა შორის, სწავლა-სწავლების პირობების უთანაბრობა მარტო საქართველოში არაა. გასული საუკუნის 80-იან წლებში ამ საკითხმა ევროპა დააფიქრა და დაიწყეს რეფორმები. სოციალური უთანასწორობის სრულად აღმოფხვრა, სამწუხარო რეალობაა, ვერსად მოხერხდა, თუმცა ზედმეტ-ნაკლები სიმწვავით ხასიათდება...

– რა არის ქართული საგანმანათლებლო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები?

– პრობლემები არის და თან სისტემურიც. სხვაგვარად, ის საერთაშორისო კვლევები არ გვეტყოდნენ მწვავე შედეგების შესახებ. ეფექტიანი და მოქნილი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება აუცილებელია. არ შეიძლება, განათლებისთვის თანხა დაინანოს ბიუჯეტმა. საქართველოს პროგრესირება მთლიანად განათლებაზეა დამოკიდებული. კვალიფიკაციის დაბალი დონე, რომელიც ახასიათებს საქართველოს, ვერაფრით მოწესრიგდება, თუ განათლების ხარისხს არ გავზრდით. მესამე წელია, რაც საქართველომ დაიწყო „ახალი სკოლის მოდელი“, რომელმაც აჩვენა, რომ ეს არის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და ეფექტიანი სარეფორმო ტალღა. ავსტრია ახლაც აგრძელებს რეფორმას ამავე სახელწოდებით, რომლის წლიური ბიუჯეტი 250 მილიონი ევროა. ავსტრიული „ლერნდიზაინი“ სიახლეთა დანერგვის დროს არაერთ პრობლემას წააწყდა და მათ აგვარებს ეტაპობრივად.

მოკლედ გეტყვით, რომ სწავლების ხარისხი პირდაპირ კავშირშია მოსწავლის მოტივაციასთან. კონსტრუქტივიზმზე დაფუძნებული სწავლება მოტივაციის ზრდას უწყობს ხელს. თანამედროვე ქართველი განმანათლებლები ყველა იმ მნიშვნელოვანი მიღწევის დანერგვას ცდილობენ, რაც მსოფლიოს გააჩნია. სასიხარულოა, რომ ჩვენ გვერდს არ ვუვლით უზნაძის, გოგებაშვილისა და ჭავჭავაძის მოსაზრებებს. არც ის დაგვავიწყდეს, რომ სოკრატული და სახარებისული პედაგოგიკაც გვეხმარება (აქ არაფერ შუაშია წარსული და რელიგია!). ახლა აღარაა ტრენინგებისა და მენტორინგის დრო. როგორც მოსწავლე, ისე მასწავლებელი საჭიროებს მხარდაჭერას პროგრესირებისა და შედეგის მისაღწევად. სკეპტიციზმი უნდა დამარცხდეს სკოლებში, უარი უნდა ითქვას ბიჰევერიონიზმზე, მოძველებულ მეთოდოლოგიაზე და რაც შეიძლება, სწრაფად უნდა მოხდეს ტექნოლოგიების სწორად ჩაშენება სასწავლო პროცესში. მოსწავლე უნდა ქმნიდეს პროდუქტდავალებას, რომელიც მას დაეხმარება გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში. სამწუხაროა, რომ ბევრ მასწავლებელს ავიწყდება მთავრი ორიენტირი და მოკლევადიან მიზნებზე აფუძნებს სწავლებას. ეს უკვე კვალიფიკაციის ხარვეზის მაჩვენებელია. სახელმწიფომ სასწრაფოდ უნდა შეცვალოს საგანმანათლებლო პოლიტიკა ახალგაზრდა, კვალიფიციური პედაგოგების მოსაზიდავად, მასწავლებელთა ნებისმიერი თაობის გადასამზადებლად მხარდაჭერის გზით (და არა წახალისება-დასჯით, რომლებიც სუსტი მოტივატორებია!), ასევე უნდა მოგვარდეს ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პრობლემები.

შიო აბრახამიას ახალგაზრდა მომღერლების სტილი აშინებს

დირიჟორ შიო აბრახამიას ახალგაზრდა, დამწყები მომღერლების საშემსრულებლო სტილი აშინებს:

– მაშინებს, ახალგაზრდა, დამწყებ საესტრადო მომღერლებში გავრცელებული სიმღერის უცნაური საშემსრულებლო სტილი, თან მზარდი ტენდენციით.

ახალგაზრდა, რომლის ხმა დაღლილობისაგან შორს უნდა იდგეს, ხალასად ჟღერდეს და ვითარდებოდეს, ნაცვლად ამისა თრითინებს, ჩურჩულებს, სწუხს, ტანჯვის მიმიკაში გადმოსცემს დეკლამაციებს; არა ვიბრატო, არა ფრაზირება, ეს უკანასკნელი, საუკეთესო შემთხვევაში ვერბალური ტექსტის შინაარსობრივი ცენზურის გააზრების ხარჯზე თუ გამოვლინდება ხოლმე; მაგრამ ის კი გააზრებული აქვთ, რომ სადღაც კულმინაცია რაღაც მეტს მოითხოვს, „აღმატებულს“ და ამ დროს ეს მეტი, ყვირილი, ფორსირება, სახის ტანჯულ მიმიკას „სხეულის ენაც“ ემატება, ზოგჯერ საშიში, უგანაჩენო „პლასტიკით“.

იმღერეთ ბავშვებო, ახალგაზრდა გოგონებო, ნუ ზოგი ბიჭიც, იმღერეთ, ფრთები გაშალეთ, კი ნუ იკუჭებით, ხმას მიეცით ასპარეზი, ფრაზები გაამღერეთ, დახვეწილი და ზომიერი ვიბრატო მიაშველეთ ფრაზების ბოლოს და ა.შ. რასაც მუსიკა „მოითხოვს“ და გკარნახობთ!

ოღონდ, იმღერეთ, თუკი სცენაზე და ღია ეთერში ამ განაცხადს აკეთებთ!

ნუ ბაძავთ უფროსი თაობის მომღერლებს, რომელთაც სუბიექტურად თუ ობიექტურად სიმღერის ეს თეატრალიზებულ-რეჩიტაციულ-დრამატულ-ექსპრესიული სტილები შეურჩევიათ. სუბიექტურობის შემთხვევაში ეს მათი გამოცდილებით მართლდება: მომღერალი – შემოქმედი ადამიანია და თან ახლავს ცხოვრებისული, თუ თავად საშემსრულებლო გამოცდილება, და დაგროვილ სათქმელს ესე გადმოსცემს, ესე აღიქვამს რეალობას; ობიექტურია, თუ ასაკში ხმამ დაკარგა ის სიხალასე, თავისუფლება, დიაპაზონი შემცირდა. ამიტომ მცდელობის მიუხედავად ვერ ახერხებს გადმოსცეს ის, რაც ასევე მანაც გამოცდილებით დაიგროვა და ამიტომ ხელოვნურად, მისთვის მოსარგების უპირატესობით მიმართავს გამომსახველ იმ ჩამოთვლილ ხერხებს, რაც თქვენს ახალგაზრდა ხმებს უარესად ახელოვნურებს, ტემბრს უკარგავს, ორიგინალობას ართმევს და თავიდანვე დაღს ასვამს.

ნუ ბაძავთ, თქვენი იმღერეთ.

გულწრფელობა, ინტუიცია, მუსიკის შეგრძნება!

წარმოიდგინეთ, მევიოლინე, რომელიც ესე „კუჭავს“ და სტანჯავს მგრძნობიარე სიმებს. მაგრამ რა ჯობს ვიოლინოს, ან ჩელოს „სიმღერას“?!

მაშინ, როცა ადამიანის ხმა ყველაზე ცოცხალი და მგრძნობიარე ინსტრუმენტია სულიერი განცდების გადმოსაცემად და ვოკალური ინტონირების სიმდიდრე იძლევა მხატვრულ-ემოციური სამყაროს მრავალფეროვნების გამოხატვის შესაძლებლობას.

მე მაშინებს ახალგაზრდებში გავრცელებული სიმღერების შესრულების ეს მზარდი ტენდენცია, ყველას არ ეხება!

ნუ მიწყენთ – იმღერეთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

შენგელია ევროლიგის ხუთეულშია და ესპანური სეზონის განახლებას ელოდება

ევროლიგამ კორონავირუსის პანდემიის გამო შეწყვეტილი ევროლიგის გათამაშება შეაჯამა და საუკეთესოები დაასახელა. სასიხარულოა, რომ რჩეულთა შორის ესპანური ბასკონიას ქართველი კაპიტანი თორნიკე შენგელიაც მოხვდა. ჩვენებური ერთბაშად 2 სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს. თოკო დასახელდა ევროლიგის პირველ სიმბოლურ ნაკრებსა და ევროპელთა გუნდში.

პირველი სიმბოლური ხუთეული

შეინ ლარკინი (აშშ, ანადოლუ ეფესი), მაიკ ჯეიმსი (აშშ, ცსკა), თორნიკე შენგელია (საქართველო, ბასკონია), ნიკოლა მიროტიჩი (ესპანეთი, ბარსელონა), გრეგ მონრო (აშშ, ბაიერნი).

მეორე სიმბოლური ხუთეული

ნიკ კალატესი (საბერძნეთი, პანათინაიკოსი), ალექსეი შვედი (რუსეთი, ხიმკი), სკოტი ვილბეკინი (აშშ, მაკაბი), ბოიან დუბლევიჩი (ჩერნოგორია, ვალენსია), ნიკოლა მილუტინოვი (სერბეთი, ოლიმპიაკოსი).

ევროპელთა ხუთეული

ნიკ კალატესი, ალექსეი შვედი, თორნიკე შენგელია, ნიკოლა მიროტიჩი, ნიკოლა მილუტინოვი.

უცხოელთა ხუთეული

შეინ ლარკინი, მაიკ ჯეიმსი, სკოტი ვილბეკინი, დერიკ უილიამსი (აშშ, ფენერბაჰჩე), გრეგ მონრო.

საუკეთესოები პოზიციების მიხედვით

მვპ: შეინ ლარკინი.
უკანახაზელი: შეინ ლარკინი.
ფორვარდი: ნიკოლა მიროტიჩი.
ცენტრი: გრეგ მონრო.
ევროპელი: ნიკოლა მიროტიჩი.
უცხოელი: შეინ ლარკინი.
მცველი: ვალტერ ტავარესი (კაბო ვერდე, რეალი).
მწვრთნელი: ერგინ ატამანი (თურქეთი, ანადოლუ ეფესი).

შეგახსენებთ, რომ ევროლიგის მიმდინარე გათამაშება მარტის დასაწყისში შეწყდა, 25 მაისს კი, სეზონის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული. 28 ტურის თავზე, ტურნირს 24 მოგებით თურქული ანადოლუ ეფესი ლიდერობდა, შენგელიას ბასკონიას კი, 12 მოგებით მე-13 ადგილი ეკავა. თოკოს საშუალო მონაგარი ასეთი გახლდათ: 15.9 ქულა, 5.6 მოხსნა და 2.9 პასი.

ელგუჯა ლობჟანიძე: „ნაკრებში ბევრი არ მითამაშია, მაგრამ მენდობიან“

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი ელგუჯა ლობჟანიძე ახლა ყაზახურ ქაისარში თამაშობს. ჩემპიონატი იქაც შეჩერებულია, მაგრამ გაგრძელება იგეგმება. თუმცა, კიდევ ერთი ქართველის, ლევან კუტალიას ირტიშის გარეშე, რომელიც გაკოტრდა და პირველობას გამოეთიშა.

ლობჟანიძის გარდა ყაზახეთში კიდევ არიან ნაკრების წევრები – ჯაბა კანკავა და ნიკა კვეკვესკირი. მათი თამაში ახლა მნიშვნელოვანია, რადგან სექტემბრიდან სანაკრებო მატჩების განახლება იგეგმება და საქართველოს ნაკრებს კონკრეტული ამოცანები აქვს გადასაჭრელი.

ყაზახურ ვებგვერდზე **ლობჟანიძესთან** ინტერვიუ გამოქვეყნდა.

– ქაისარის შემადგენლობაში სეზონი კარგად დაიწყეთ – 2 მატჩი ყაზახეთის ჩემპიონატში და 2 გოლი. სასტარტო ტურებში საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხართ?

– დასაწყისი მართლაც ძალიან კარგი გამოვიდა. გოლები კი გავიტანე, თუმცა მე კმაყოფილი არასდროს ვარ... ყოველთვის შეიძლება მეტის გაკეთება.

– როგორ თვლით, შეიძლება უკვე თქმა, რომ თარაზიდან ქაისარში გადასვლა წარმატებული იყო თქვენთვის?

– კარიერის თვალსაზრისით რომ შევხედოთ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა ჯერ ვერ ვიტყვი, რომ ეს წარმატებული იყო, რადგან მხოლოდ დასაწყისი განვლეთ, მთელი სეზონი წინაა.

– გაკმაყოფილებთ ის როლი, რასაც გუნდში გაძლევენ?

– ყველგან ერთი და იგივე საქმე მქონე. მე ერთი სტილი და ამოცანა მაქვს – ეს გოლების გატანაა.

– როგორ გაატარეთ კარანტინის პერიოდი და როგორ ფორმაში ხართ ახლა?

– კარანტინის დროს ბაზაზე ვიყავი, ახლა კი ვარჯიშის უფლებაც გვაქვს და ცუდ ფორმაში არ ვარ. თუმცა მომზადება კიდევ მჭირდება.

– მედიაში ბევრი იყო საუბარი ქაისარში ხელფასების შემცირებაზე. თქვენი აზრით, ეს მორალურად იმოქმედებს ფეხბურთელებზე?

– იმის გათვალისწინებით, რაც მსოფლიოში მოხდა, მესმის, რომ ეკონომიკა დაეცა და ვიცოდი, რომ ხელფასებიც შეგვიმცირდებოდა, ეს ყველგან ასეა. ცხადია, ეს სასიამოვნო არაა, რადგან, როცა ფეხბურთელი კონტრაქტზე აწერს ხელს, იცის, ხელფასის სახით რამდენი უნდა მიიღოს. ფსიქოლოგიურად რთულია, თუმცა ვფიქრობ, რომ სულით არავინ დაეცემა.

– ფინანსური პრობლემების გამო ქაისარი ზაფხულში ვერ გაძლიერდება. ევროპა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გუნდი კონკურენტუნარიანი იქნება?

– ვფიქრობ, რომ ევროპა ლიგასა და ჩემპიონატზე საიმედოდ გამოსასვლელად ძალები გვეყოფა. თუმცა, წინასწარ ბევრს არ ვილაპარაკებ. ღმერთმა ქნას, ყველაფერი ისე იყოს, როგორც ვგეგმავთ,

– ამ ეტაპზე, საქართველოს ნაკრებში საკუთარი პერსპექტივა როგორ გესახებათ?

– ეროვნულ გუნდში ბევრი არ მითამაშია, თუმცა, რადგანაც მწვრთნელი მიძახებს, ეს ნიშნავს, რომ ჩემში პერსპექტივას ხედავს. მეც ვცდილობ, როცა საშუალება მექნება, მზად ვიყო ჩემი მაქსიმუმის ჩასადებად ნაკრებისთვის სასურველი შედეგის მიღწევისათვის.

ეროვნული ლიგა 25 ივნისს გაგრძელდება

ეროვნული ლიგის 2020 წლის სეზონი 25 ივნისს განახლდება. ჩემპიონატის განახლებამდე მომდევნო კვირის განმავლობაში კრისტალბეთის ეროვნული ლიგის 10-ვე გუნდის ფეხბურთელებს პირველადი ტესტირება ჩაუტარდებათ. სავარჯიშო პროცესი ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციებით წარიმართება. მატჩების განახლებამდე კი მოთამაშეები ტესტირებას ხელმეორედ გაივლიან.

ფორმატი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ვეღარ ესწრება პირველობის 4 წრედ ჩამთავრება და გუნდები ერთმანეთში მხოლოდ 2-2 მატჩს გამართავენ. მარტში 2 ტური გაიმართა, სეზონის განახლების შემდეგ კი, ეროვნული ლიგის მონაწილე კლუბები 16 ტურს ითამაშებენ. მატჩები მაყურებლის გარეშე გაიმართება. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სხვა ლიგებისა და თასის თამაშების განახლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მოგვიანებით გახდება ცნობილი.

შედეგები

30 მაისი

ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა

ვოლფსბურგი-აინტრახტი	1:2
ჰერტა-აუგსბურგი	2:0
მაინცი-ჰოფენჰაიმი	0:1
შალკე-ვერდერი	0:1
ბაიერნი-ფორტუნა	5:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	29	21	4	4	86-28	67
2.დორტმუნდი	28	17	6	5	74-34	57
3.ლევერკუზენი	29	17	5	7	54-34	56
4.ლაიფციგი	28	15	10	3	70-29	55
5.გლადბახი	28	16	5	7	53-34	53
6.ვოლფსბურგი	29	11	9	9	41-36	42
7.ჰოფენჰაიმი	29	12	6	11	40-48	42
8.ფრაიბურგი	29	10	8	11	38-41	38
9.ჰერტა	29	10	8	11	43-50	38
10.შალკე	29	9	10	10	34-46	37
11.კიოლნი	28	10	4	14	44-52	34
12.აინტრახტი	28	9	5	14	46-53	32
13.აუგსბურგი	29	8	7	14	40-56	31
14.უნიონი	28	9	4	15	33-48	31
15.მაინცი	29	8	4	17	37-62	28
16.ფორტუნა	29	6	9	14	31-58	27
17.ვერდერი	28	6	7	15	30-59	25
18.პადერბორნი	28	4	7	17	31-55	19

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზანდჰაუზენი-ჰანოვერი	3:1
კარლსრუე-ზ.პაული	1:1
ნიურნბერგი-ბოხუმი	0:0
კილი-არმინია	1:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

სიგმა-პრჟიბრჟამი	1:2
ზლინი-ბანიკი	1:1
ლიბერეცი-სლოვაცკო	3:1
პლზენი-ბოლესლავი	7:1
სლავია-იაბლონეცი	5:0

ჰოლანდია. ექსტრაჯლასა

ლოძი-გურნიკი	0:1
პიასტი-ვისლა	4:0
ლეხი-ლეგია	0:1

უკრაინა. პრემიერლიგა

კოლოსი-დესნა	0:2
ოლექსანდრია-ზორია	1:0

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ლიონელ მესი ბარსელონას ტოტენჰემ-ინტერ-მილანის ფინალს ურჩევს

ესპანეთის ჩემპიონატი ბარსელონელ ლიონელ მესის ინტერესებში ალბათ ბოლო ადგილზე ექნებოდა, ოღონდ ეს ასეა, ბარსა ამ ადგილზე ბოლოს ოცდაერთ წელიწადზე ნაკლებ ხანს ყოფილა. ამ ინტერესებიდან ერთ-ერთ ადგილზე ალბათ ევროპა ლიგის ფინალი

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 ივნისი

აშშ დოლარი — 3.1761	ევრო — 3.5366
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9161	100 რუსული რუბლი — 4.5026

ამინდის პროგნოზი 1 ივნისისათვის

უსმან დემბელე: „სათამაშოდ მზად ვარ“

ბარსელონას ფრანგმა ფორვარდმა უსმან დემბელემ განაცხადა, რომ ის მზად არის მოედანზე გამოსასვლელად და სათამაშოდ და მას ერთი სული აქვს, რომ ეს გააკეთოს.

დემბელეს თქმით, მან უკვე მოიშუშა ტრავმა და ამჯერად ის შეეცდება, რომ ტრავმებმა ხელი აღარ შეუშალოს:

– ძალიან მომენატრა მოედანზე გამოსვლა და ჩემი საყვარელი საქმის კეთება. დიდი იმედი მაქვს, რომ ტრავმები ხელს აღარ შემიშლის. ჩემს თანაგუნდელებს კარგად ვუგებ ვარჯიშებზე და მოედანზეც ასე იქნება. ცარიელ ტრიბუნებთან თამაში სასიამოვნო არ არის, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს.

პსჟ-მ მაურო იკარდი გამოისყიდა

არგენტინელი ფორვარდი მაურო იკარდი ოფიციალურად პსჟ-ს ფეხბურთელი გახდა. აქამდე ის პსჟ-ში იჯარით წესით იყო და მასზე უფლებები ინტერს ეკუთვნოდა. პსჟ-მ იკარდის ტრანსფერში 57 მილიონი გადაიხადა და მაურო უკვე პარიზული გუნდის საკუთრებაა. იკარდიმ 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

არგენტინელმა ფორვარდმა განაცხადა, რომ ის ძალიან ბედნიერია და ინტერში დაბრუნებას არ აპირებდა, რადგან მილანურ კლუბში მას სათანადოდ არ მოექცნენ.

ტერ შტეგენი ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს



ბარსელონას მეკარე მარკ ანდრე ტერ შტეგენი კატალონიურ გუნდთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს, რადგან მას უფრო მაღალი ანაზღაურების მიღება სურს.

ბარსელონა მზად არის, ტერ შტეგენს წელიწადში 7 მილიონი გადაუხადოს, მაგრამ გერმანელ მეკარეს ეს არ აკმაყოფილებს და მას 10 მილიონი სურს. სავარაუდოდ, ბარსელონა მისი ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას ვერ შეძლებს, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ტერ შტეგენმა ბარსელონა დატოვოს.

რეალმა პოგბაზე უარი თქვა

მადრიდის რეალი წლევანდელ ზაფხულში პოლ პოგბას ყიდვას აღარ შეეცდება. ასეთი ინფორმაცია გავრცელდა ესპანურ პრესაში.

რეალს დიდი ხანია სურს პოგბას ყიდვა, მაგრამ მანჩესტერ იუნაიტედი მის ტრანსფერში 200 მილიონს ითხოვს და რეალს ამ ეტაპზე ამ თანხის გადახდა არ შეუძლია. გარდა ამისა, ზიდანს თავისი შემადგენლობა სრულიად აკმაყოფილებს და ჯერჯერობით ფრანგი სპეციალისტი რეალში არაფრის შეცვლას არ აპირებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ასტროპროგნოზი

1 ივნისისათვის

ვერძი – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. ** კურო** – ცვლილებების დრო არ არის. სერიოზული საკითხების მოგვარებას დღეს პლანეტები არ გირჩევენ. **ტყუპები** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **კირჩხიბი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ლომი** – სხვისი პრობლემების გადაწყვეტას ნუ შეეცდებით. თავი შეიკავეთ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. **ქალწული** – გლობალური გადაწყვეტილებების მისაღებად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს ეცადეთ, მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდეთ. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ღრმანაკალი** – გამორიცხული არ არის, დაგროვილ საქმეებს თავი შესანიშნავად გაართვათ, თუ, რასაკვირველია, არ იზარმაცებთ. **მშვილდოსანი** – საოჯახო პრობლემების მოგვარების დროა. შეგიძლიათ, საღამოს გაერთოთ და დაისვენოთ. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **მერწყული** – ნებისმიერი პრობლემის მოგვარება ხელგეწიფებათ, ოღონდ ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **თევზები** – დღევანდელი დღე ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ნუ გადაიღლებით. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე.

გისუსტებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

საწარმოს ხელმძღვანელი სამსახურის დაწყების მსურველს ეკითხება:

– სპეციალობით თქვენი სამუშაო „სტაჟი“?

– კი მაგრამ, მე ხომ დამლაგებლად ვიწყებ მუშაობას?

– რატომ გადაწყვიტეთ სწორედ ჩვენი ტუალეტის დალაგება?

•••

გოგო ბიჭს ეუბნება:

– გეგონა, რომ პირველივე პაემანზე ნიღაბს მოვიხსნიდი? მე ისეთი არ ვარ...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– კვირას ეკლესიაში მივდივარ, მოძღვარს აღსარება უნდა ჩავაბარო.

– ვალიდოლი წაიღე...

– რისთვის?

– მოძღვარი ცუდად რომ გახდეს?

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, დაბადების დღეზე ისეთი რამე მაჩუქე, ფეხს რომ დავაჭერ და მისი მაჩვენებლის ისარი სამ წამში 0-დან 100-მდე ავარდება...

– სასწორი?

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– ამ კარის უკან ნათელმხილველი ცხოვრობს.

– მართლა? და მაშინ სათვალთვალო რატომ უყენია?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხალხის ბრბომ დათვი ჩაქოლა

ინდოეთის ტელინგანის შტატში ხალხის ბრბომ ანგარიში გაუსწორა დათვს, რომელმაც ორი ადამიანი დაასახიჩრა.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ცხოველი სოფელში შეიჭრა. ხალხის უმრავლესობამ მტაცებელი შენიშნა და დაიმალა. დათვი თავს დაესხა ქუჩაში დარჩენილ მამაკაცებს.

სატყეო მეურნეობის სამსახურმა შემთხვევის ადგილზე გაგზავნა მონადირეები, რომლებიც გარეული ცხოველების დაჭერის სპეციალისტები არიან. თუმცა ადგილობრივები მათ მისვლას არ დაელოდნენ და ცხოველს თავად გაუსწორდნენ. ქვებითა და ჯოხებით ნაცემი დათვი დაიღუპა. ორი დაშავებული მამაკაცი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პოეტი დავით პაქსაშვილი მესამე სართულიდან გადმოვარდა

პროექტ „ცოდნა ფულიას“ გამარჯვებული პოეტი დავით პაქსაშვილი მესამე სართულიდან გადმოვარდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია.

დავითი თემქაზე მდებარე ჯეარსის კლინიკაში მრავლობითი მოტეხილობებით არის მოთავსებული და სამი ოპერაცია ესაჭიროება.

მეგობრის გადასარჩენად მისმა უახლოესმა ადამიანებმა საჭირო თანხის მოგროვება დაიწყეს და საზოგადოებას მინიმალური თანხის ჩარიცხვისკენ მოუწოდეს.

ია ჩანტლაძე ტყუპების დედა გახდება

მომღერალი ია ჩანტლაძე ტყუპებს ელოდება და სულ მალე ორ პატარას ჩაეხუტება.

იასთვის ორსულობა განსაკუთრებული აღმოჩნდა, რადგან კორონავირუსის გამო, მომღერალი საქართველოში აღმოჩნდა, მისი იტალიელი მეუღლე ჯანკარლო მერკადანტე კი – იტალიაში.

საგანგებო მდგომარეობის გამო, ჯანკარლო საქართველოში ჩამოსვლას პატარების დაბადებამდე ვერ ახერხებს, რასაც ძალიან განიცდის.

გია ნიკოლაძემ თბილისზე სიმღერა დაწერა

მომღერალმა და პოეტმა გია ნიკოლაძემ თბილისზე სიმღერა დაწერა:

– თბილისი წმინდა ქალაქია!

თბილისიდან დედამიწის დედაღმერთად აღიარება და მისი დატკბობა დაიწყო!

თბილისი ჩემი უბანია ნამეტანი ხომ არ არის? – იკითხა მომღერალმა, როდესაც ინტერნეტში ახალი ნამუშევარი გაავრცელა და საზოგადოებას შენიშვნებისთვის მწვანე შუქი აუნთო, თუმცა გიას ახალი ნამუშევარი ათასობით ადამიანმა მოიწონა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრი დისტანციურ ფოტო-გამოფენას გამართავს

პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მოზარდ მაყურებელთა თეატრი საკუთარ ფეისბუქ გვერდზე ყველაზე სახალისო, დისტანციურ ფოტო-გამოფენას სახელწოდებით „პატარა-დიდები“ გამართავს.

ფოტო-გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასისა და თანამშრომელთა ბავშვობის ფოტოები, რომლებსაც თან ერთვის ბავშვობასთან დაკავშირებული საინტერესო და დაუჯერებელი ამბები.

თქვენ გაიგებთ, ვის და რის გამო დაისაჯა მსახიობი ლეო ფილფანი? ვინ სცემდა ბიჭებს სკოლაში? ვინ ასახიერებდა კლეოპატრას დანა-ჩანგლით ხელში, ვის უწოდებდნენ „ქვეყნის ამომგდებს“? ვის სურდა გამოეცნო ფეხსაცმლის „ქცევა“ უკუსვლის მომენტში? ვის და რატომ ეძახდნენ აკიმსა და რასპუტინს? ამ და კიდევ ბევრ საინტერესო ისტორიებს გაეცნობით 1 ივნისს, მოზარდ მაყურებელთა თეატრის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე.

ფოტო-პროექტში 60-მდე მსახიობმა მიიღო მონაწილეობა. პროექტის ავტორი თათია პაქსაშვილია.

რეზო ჩხიკვიშვილი მსოფლიოს ქართული კერძების მომზადებას ასწავლის

გერმანიაში მცხოვრები მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი მთელ მსოფლიოს ქართული კერძების მომზადებას ასწავლის.

ხელოვანი სპეციალურ ვიდეოებს იღებს, სადაც ხაჭაპურის, ნიგვზიანი ბადრიჯნის და სხვადასხვა ცნობილი ქართული კერძების მომზადებას აღბეჭდავს.

„როგორ გადავაგოროთ პანდემია“ – ასე უწოდებს საკუთარ ვიდეოებს რეზო ჩხიკვიშვილი, რომელსაც ათასობით ნახვა, მოწონება და გაზიარება აქვს.

რეზო ლაღიძის „თბილისო“ ყაზახმა მომღერლებმა იმღერეს

ქართველი კომპოზიტორის რეზო ლაღიძის საგვიზიტო ბარათად ქცეული სიმღერა „თბილისო“ ყაზახმა მომღერლებმა იმღერეს.

მათ სპეციალური ვიდეო გადაიღეს, სადაც მიეალმნენ ქართველებს და საკუთარი ინტერპრეტაციით შეუსრულეს რეზო ლაღიძის უკვდავი ნაწარმოები.

ყაზახი მომღერლების მონდომებამ ათასობით ქართველი მსმენელი აღაფრთოვანა და ქართული სიტყვების ზედმიწევნით კარგად შესწავლა და გამოთქმა მოუწონა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სტაჟიორი ადვოკატი ბრიტანეთში; 2. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 3. კარაქის შესადღვები ძველებური ხის ჭურჭელი; 4. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 5. უმცროს მეთაურთა წოდება არმიაში; 6. ვულკანი ისლანდიაში; 7. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 9. ფულის ერთეული ისრაელში; 13. ბგერის ნახევარტონით ასამაღლებელი სანოტო ნიშანი მუსიკაში; 17. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი; 18. მანძილის საზომი ძველებური ფრანგული ერთეული.

თარაზულად: 1. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა; 3. ავადმყოფობის გამომწვევი ჩხირისებრი ბაქტერია; 8. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 10. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 11. ქალაქი იაპონიაში; 12. იტალიური სადესერტო ღვინო; 14. მხატვრის, მოქანდაკის სახელოსნო; 15. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 16. დაბალი, გრძელი ტანის მქონე მონადირის ძაღლის ჯიში; 19. ოპტიკურ-კვანტური გენერატორი; 20. ღვინის, დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. მექანიკური მუსიკალური საკრავი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა